პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

წელიწადი მესამე

კომუნისტი

ს. ს. ს.
ცენტრალურ და ტფილისის
კომიტეტის
და სრ. საქ. მ., გ. წ. არ. და მტრ.
დეპ. საბ.
ცაკის ორგანო

რედაქცია: ტფილისი, რუსთაველის პროსპექტი, № 24 მეორე სართული

მთავარი კანტორა ტფილისი, რუსთველის პრ. № 26 ტელეფ. 5—43

რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე ტელეფ. ნომრები რედაქტორის 14—76 მდივანი 10—58

ხელის მოწერის თვიური ფასი: საქართველოში 1.800.000 მან. განცხადება 15 კაპ. ჩერვონცებით ნონპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 4 მანეთი ჩერვონცებით.

№ 146 ხუთშაბათი 28 ივნისი, 1923 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფ.სი 75,000 მან.

№ 146

დღიური

— შვეიცარიის სოციალისტური გაზეთები გმობენ შვეიცარიის მთავრობის მოქმედებას და ამართლებენ საბჭოთა რესპუბლიკების მიერ შვეიცარიისადმი გამოცხადებულ ბოიკოტს.

— დიდი ანტანტის დამოკიდებულება ბულგარეთის ახალი მთავრობისადმი ჯერ სავსებით არ არის გამორკვეული.

— ლოზანას უკანასკნელ სხდომაზე ოსმალეთის დელეგაციამ გადაჭრით მოითხოვა სტამბოლიდან უცხოეთის ჯარების გაყვანა და ოსმალეთის ვალის საკითხის მოგვარება.

— რურის ოლქში საოკუპაციო ჯარმა რეკვიზიცია მოახდინა ნახშირის მთელი მარაგის.

საქართ. პარტიულ-საბჭოთა პრესის

ცენტრალურ კანტორისაგან

(ყოფ. გაზტრესტი), რუსთაველის პრ. № 26, ტელეფ. № 5—43.

ცენტრალური კანტორა ამით აცნობებს ყველა სახელმწიფო დაწესებულებებს და კერძო პირებს, რომ 1 ივლისიდან გაზეთ „კომუნისტ“-ში განცხადებები მიიღება შემდეგი ფასით:

ნონპარელის სტრიქონი — —	12 კ. ჩერვონცებით
თეატრალური განცხ. არა უმეტ. 60 სტრ.	30 პრ. დაკლებით
სამგლოვიარო არა უმეტეს 30 სტრ. —	4 მ. ჩერვონცებით
საქმიმო განცხადება თვეში — —	4 მანეთი

ყველა განცხადებები არა ნაკლებ 10-ჯერ დაბეჭდილი—10 პრ. დაკლებით. აგრეთვე მიიღება განცხადებები თვიურ ჟურნალში „რევოლიუციის მატიანე“-ში, „კომუნიზმის დროშა“-ში და ორკვირეულ იუმორისტულ ჟურნალ „ნიანგ“-ში.

6—2

ცენტრალური კანტორა.

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის

მეორე სესიის სხდომა

გადატანილია 28 ივნისს დილის 10 საათიდან საღამოს 5 საათისათვის ძასახლის წითელ დარბაზში.

ა. კ. ცენტრალმასკომის მდივანი **თალიბლი.**

დღეს 28 ივნისს, საღამოს 6 საათზე საქართველოს კომპარტიის ტფილისის კომიტეტის შენობაში შესდგება

საქართველოს კომპარტიის ტფილისის კომიტეტის პლენუმი.

სავალდებულოა ტფილისის კომიტეტის წევრების და კანდიდატების დასწრება.

ტფილისის კომიტეტის მდივნის მაგიერ: **რუბენი.**

ცენტრალიზმის საკითხი კომუნისტურ ინტერნაციონალში

ამ საკითხს უდიდესი მნიშვნელობა აქვს მუშათა კლასის რევოლიუციონურ-კომუნისტურ მოძრაობის მსვლელობისათვის.

ამა თუ იმ გაერთიანების ორგანიზაციული ფორმა გამომხატველი უნდა იყოს მისი შინაარსის და იძლეოდეს საუკეთესო საშუალებებს იმ მიზნების განსახორციელებლად, რომლებსაც ეს გაერთიანება ისახავს.

კომუნისტური ინტერნაციონალი რევოლიუციონურ მუშათა საერთაშორისო ორგანიზაციაა, რომლის ამოცანაა მსოფლიო მასშტაბით კაპიტალიზმის დამხობა პროლეტარიატის ბრძოლის გზით.

რომ ეს მიზანი განახორციელოს, კომინტერნი მართლა და ფაქტიურად [illegible] წარმოადგენდეს ყველა ქვეყნების კომუნისტურ პარტიების გაერთიანებას ერთი უმაღლესი მებრძოლი შტაბის გარშემო, რომელიც უხელმძღვანელებს ცალკე სექციებს და წარმართავს მათ მოქმედებას მსოფლიო რევოლიუციის ინტერესების თვალსაზრისით.

დემოკრატიული ცენტრალიზმი არა მარტო თვითეული ქვეყნის კომპარტიის შიგნით, არამედ სექციების დამოკიდებულებაში კომინტერნის აღმასკომთან,—აი ერთად ერთი სწორი და მისაღები ორგანიზაციული წყობა კომუნისტური ინტერნაციონალისათვის. და ეს მით უმეტეს დღეს, საერთაშორისო კონფლიქტების გამწვავების, ფაშისტური რეაქციის ქვეყნდარების და კაპიტალის გააფთრებული შეტევის პირობებში, როცა მუშათა კლასს უაღრესად ესაჭიროება ინტერნაციონალური მასშტაბით რიგების შემჭიდროება, ძალების გაერთიანება და კონცენტრაცია ავტორიტეტიანი და მაგარი ცენტრის ხელმძღვანელობით, რომლის გადაწყვეტილება აუცილებლად სავალდებულო უნდა იყოს ყოველი მისი ცალკე რაზმისათვის.

ასეთი უნდა იყოს კომუნისტური ინტერნაციონალი.

სულ სხვაა მეორე ინტერნაციონალის ორგანიზაციული სტრუქტურა.

ეს ინტერნაციონალი ფაქტიურად არ წარმოადგენს მუშათა საერთაშორისო გაერთიანებას, რომელსაც ძალა შესწევდეს ინტერნაციონალური მასშტაბით რაიმე მოქმედების და მით უმეტეს რევოლიუციონურ ბრძოლის წარმოების. ის არც ისახავს მიზნად ასეთ ბრძოლას. მისი ყოველი წევრი, ამა თუ იმ ქვეყნის ორგანიზაცია ჩაკეტილია თავის ქვეყნის ჩარჩოებში, თავის პოლიტიკაში ხელმძღვანელობს ვიწრო ნაციონალურ ინტერესებით, რაცაა არსებითად ინტერესები თავის ქვეყნის ბურჟუაზიის. მათი ინტერნაციონალური გაერთიანება ფორმალური ხასიათისაა. ისინი საერთაშორისო კონგრესებზე იკრიბებიან უფრო სალაყბოდ, ვინემ რაიმე რევოლიუციონური საქმის გასაკეთებლად. სისუსტე მეორე ინტერნაციონალის აიხსნება რევოლიუციონური თვალსაზრისით არა მარტო მისი რეფორმიზმით და ოპორტიუნიზმით, არამედ მისი ორგანიზაციული წყობითაც, რომელიც ფედერალიზმის ფორმაში გამოიხატება.

მათ სინამდვილეში არ გააჩნიათ ისეთი ცენტრი, რომლის ხელმძღვანელობა და გადაწყვეტილებანი სავალდებულო იყოს ამ ინტერნაციონალის შემადგენელ წევრებისათვის. ნამდვილი საერთაშორისო გაერთიანების უქონლობა მეორე ინტერნაციონალის პარტიებში გამოხატულებაა მათი იდეური შინაარსის, რეფორმიზმ-ოპორტიუნიზმის, ამა თუ იმ ქვეყნის „ნაციონალურ“ მომენტისათვის უპირატესობის მინიჭების მთლიანად აღებულ მსოფლიოს მუშათა მოძრაობის წინაშე, რაც ასე დამახასიათებელია შემთანხმებელ პარტიებისათვის.

უნდა ითქვას, რომ კომინტერნის ზოგიერთი სექციების ჯგუფები და ცალკე ამხანაგები დღემდე სავსებით ვერ განთავისუფლებულან მეორე ინტერნაციონალის ორგანიზაციული ფორმების გავლენისაგან. ისინი ეხლაც მოითხოვენ მეტ „დამოუკიდებლობას“ კომინტერნისაგან.

ამას, რა თქმა უნდა, აქვს თავისი მიზეზები. ჩვენი პარტიები გამოვიდნენ მეორე ინტერნაციონალის წიაღიდან და ძველი ტრადიციების მოშორება ზოგიერთი მათგანისათვის არც ისე ადვილი აღმოჩნდა.

უეჭველია აქ ერთგვარი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ბურჟუაზიის და შემთანხმებელ პარტიების პროვოკაციას „მოსკოვის დიქტატურის“ შესახებ. მათ მიზანს შეადგენს დაქსაქსვა კომუნისტური ძალების და ამ მიზნით ყოველ გზა ჯვარედინზე გაიძახიან, რომ კომინტერნი, რომელიც მათ უნდათ მოაჩვენონ თავიანთ მშრომელ მასსებს როგორც მხოლოდ რუსული ორგანიზაცია, ამცირებს და სპობს ნაციონალურ სექციების უფლებებს, ამით სურთ გავლენა მოახდინონ ნაკლებად შეგნებულ მასსების „ნაციონალურ“ თავმოყვარეობაზე და აამხედრონ ისინი კომინტერნის რევოლიუციონურ ძალების გამაერთიანებელ პოლიტიკის წინააღმდეგ.

ჩვენ ზედმეტად მიგვაჩნია შეჩერება ასეთ პროვოკაციაზე. კომინტერნი, ცხადია, საერთაშორისო ორგანიზაციაა და არა რუსული. რ. კ. პარტია შეადგენს მის სექციას, პასუხისმგებელია მის წინაშე, ემორჩილება მას. თავის მოღვაწეობას და პოლიტიკას ის უდგენს მსჯავრის დასადებად კომინტერნს და სხ.

კომინტერნისა და მის ცალკე სექციების ურთიერთი დამოკიდებულების საკითხში ლაპარაკი შეიძლება იყოს მხოლოდ მსოფლიო მუშათა კლასის ძალების კოორდინაციაზე, ნაციონალურ მომენტების დაქვემდებარებაზე საერთაშორისო რევოლიუციის ინტერესებისათვის, რაც არსებითად არის სამსახური ყოველი ქვეყნის მშრომელთა განთავისუფლების საქმის.

კომინტერნის ზოგიერთ ჯგუფებს, როგორც ვსთქვით, დღემდე კარგად ვერ შეუგნიათ კომპარტიებისათვის ცენტრალიზმის მნიშვნელობა, როგორც მათი, ისე მსოფლიო პროლეტარიატის განმათავისუფლებელ ბრძოლაში და ამიტომ გაიძახიან, რომ კომინტერნის აღმასკომი ზღუდავს მათ უფლებებს და ერევა მათ შინა-პარტიულ საქმეებში. ეს შინაპარტიული საქმეები კი, ჩვენ ვიცით, ისეთი საქმეებია, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც ამა თუ იმ ქვეყნის, ისე ხშირად საერთაშორისო მუშათა მოძრაობისათვის.

აიხსნება ეს გარემოება, ზევით ჩამოთვლილ მიზეზების გარდა, იმითაც, რომ ზოგ ამ პარტიებს ჯერ კიდევ არ გაუვლიათ რევოლიუციონურ ბრძოლის პერიოდი, მათ საკმაოდ არ განუცდიათ ბურჟუაზიის გააფთრებული იერიშები და პრაქტიკულად არ დარწმუნებულან კომინტერნის მსოფლიო მებრძოლი შტაბის ხელმძღვანელობის და დახმარების მნიშვნელობაში.

კერძოდ ეს ითქმის სკანდინავიის პარტიებზე, რომელთა დამოკიდებულება ცენტრალიზმის საკითხისადმი საგანგებოდ ირჩეოდა კომინტერნის აღმასკომის ეხლანდელ პლენუმზე.

კომინტერნში იმ თავითვე დიდი ბრძოლა წარმოიშვა ცენტრალიზმის საკითხის გარშემო.

მუშაობა იქითკენ იყო მიმართული, რომ კომინტერნი ნამდვილად გამხდარიყო კომპარტიების საერთაშორისო გაერთიანება, რომ კომინტერნის აღმასკომი ყოფილიყო ფაქტიურად ცენტრალური კომიტეტი ყველა კომპარტიების.

ამ მიმართულებებით ამ რამდენიმე წლის განმავლობაში დიდი ნაბიჯები იქნა გადადგმული. კომინტერნის მეოთხე კონგრესზე კიდეც აღინიშნა, რომ ამ მხრივ თანდათან უახლოვდებით მიზანს. კომინტერნი ეხლაც უკვე გადაქცეულია ნამდვილ მთლიან საერთაშორისო ორგანიზაციად, რომელიც რაზმავს მსოფლიოს მუშათა მასსებს და აწყობს მწყობრ და შეთანხმებულ გამოსვლებს ინტერნაციონალური მასშტაბით.

ეჭვი არ არის, კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი ამ სფეროში. კიდევ ბევრ გადახვევას აქვს ადგილი. კომინტერნის განვითარების ისტორია გვიჩვენებს, რომ ის ამ გზაზე დასძლევს ყველა დაბრკოლებებს და საბოლოოდ ჩამოაყალიბებს ერთიან მსოფლიო მეომარ ორგანიზაციას.

მხოლოდ ამ გზით შეუძლია მუშათა კლასს ბურჟუაზიის იერიშების ალაგმა და გამარჯვება.

საგადასახადო პოლიტიკა და პერსპექტივები ამიერ-კავკასიაში

II

როდესაც ვარკვევთ ჩვენს საგადასახადო პერსპექტივებს, ჩვენი ყურადღება უნდა მივაქციოთ უწინარეს ყოვლისა არა პირდაპირ გადასახადებს, ვინაიდან ამ სფეროში ჩვენ გვაქვს უფრო მეტი მიღწევანი.

ახალმა ეკონომიურმა პოლიტიკამ, დააყენა რა გადაჭრით საკითხი „საემისიო მეურნეობის“ „საგადასახადო მეურნეობით“ შეცვლის შესახებ, აიძულა საფინანსო უწყება, რომ ახალ საგადასახადო წყაროთა ძიების დროს თავისი გულისყური მიეპყრო მას მოსახლეობისაგან საჭირო საშუალებათა გამორთმევის უფრო ადვილ და უბრალო წესებისთვის.

ასეთ საშუალებებად, ბუნებრივია, აღმოჩნდა არა პირდაპირი გადასახადები.

ლიტერატურაში უკვე გამეფდა აზრი, რომ ეს გადასახადები პრინციპიალური თვალსაზრისით სრულიადაც არ არის დამაკმაყოფილებელი და რომ მათი საშუალებით საბჭოთა ხელისუფლებას არ შეუძლია აწარმოოს თავისი სოციალურ-ეკონომიური პოლიტიკა.

ეს ყველაფერი, რასაკვირველია, მართალია. მაგრამ იმ დროს, როდესაც დღევანდელს პირობებში მიუღწეველია უფრო სრული საგადასახადო სისტემა, აგებული განსაკუთრებით პირდაპირ დაბეგვრაზე, უნდა შევურიგდეთ ჩვენში არა პირდაპირ გადასახადთა არსებობის ფაქტს; იმ მხრით კი, რომ მათ რამდენადმე შესცვალეს ჩვენი საემისიო მანქანის მუშაობა, ჩვენ უნდა აღვიაროთ, რომ ეს გადასახადი—ერთი დიდი ნაბიჯია, წინ გადადგმული.

არა პირდაპირ გადასახადებს ჩვენ საერთო საგადასახადო სისტემაში დიდი ადგილი უჭირავს და ამ მდგომარეობას ის კიდევ დიდხანს შეინარჩუნებს.

არა პირდაპირ გადასახადით დასაბეგვრ საგნებს ამ ჟამად ამიერ-კავკასიაში წარმოადგენს: სპირტი, თამბაქო, ჩაი, მარილი, ნავთი და ღვინო.

ხილისა, ყურძნისა და კონიაკის სპირტის გამოხდა ამიერ-კავკასიაში წლითი-წლობით იზრდებოდა და სპირტის აქციზი აქ შემოსავლის ერთს უმნიშვნელოვანეს მუხლს შეადგენდა.

ქვემო მოყვანილი ცხრილი გვიჩვენებს ამ წარმოების მოძრაობას უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში ომამდე ამიერ-კავკასიაში.

ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების დღევანდელი ტერიტორია	1911 წელი		1912 წელი		1913 წელი	
	ქარხანათა რიცხვი	გამოხდილის რაოდენობა (ათასობით)	ქარხანათა რიცხვი	გამოხდილის რაოდენობა (ათასობით)	ქარხანათა რიცხვი	გამოხდილის რაოდენობა (ათასობით)
აზერბეიჯანი . .	1247	12867	689	11076	1236	15327
სომხეთი . . .	964	15236	764	10502	953	16646
საქართველო . .	1187	6253	1283	7051	1441	9186
სულ.	3398	34356	2736	28629	3630	41159

გამოხდილ სპირტის საშუალო წლიური ჯამი მთელს ამიერ-კავკასიაში ამ სამის წლის განმავლობაში უდრიდა 31 მილ. გრადუსს.

ომის დაწყების დღიდან ეს ჯამი მცირდება, რევოლიუციის შემდეგ დაშნაკელებისა და მუსავატელების პოლიტიკის წყალობით გამოწვეულ და შეუჩერებელ სომეხ თათართა შეტაკებას შედეგად მოჰყვა განადგურება ხელუხლებლად დარჩენილ სარექტიფიკაციო ქარხნებისა ალდამსა და უჯარაში.

1922 წელს აზერბეიჯანში სრულიად არ გამოუხდიათ თუთის სპირტი იმ დროს, როდესაც აქ წინად ხდიდნენ 7 მილიონამდე გრადუსს.

საჭიროა, რომ უახლოეს დროში აღდგენილ იქნას სპირტის გამოხდის წარმოება ამიერ-კავკასიაში. ამიტომ მევენახე-მებაღეთ შეღავათები უნდა მიეცეს სპირტის გამოსახდელად. საჭირო ზომები ამ ჟამად მუშავდება და უმთავრესი მათგანი უკვე გამოხატულია ამა წლის მაისის 25-ს დამტკიცებულ ინსტრუქციებში. უახლოეს დროში უნდა ველოდოთ სპირტის სახდელ ქარხნების ძლიერს გამოცოცხლებას.

თუ სპირტის წარმოებას ომის წინა დროინდელ ზომამდე, ე. ი. 30-35 მილ. გრადუსამდე, მივიყვანთ, მაშინ ხაზინას საგრძნობი შემოსავალი მიემატება. უკანასკნელ განაკვეთით აქციზი ხილისა და ყურძნის სპირტზე შეადგენს 18.000 მან. თითო გრადუსზე. თუ ხელმეორედ გამოხდა კიდეც შეამცირებს აქციზს 9.000 მანეთამდე, ხაზინა მაინც მიიღებს 270-315 მილიარდს მანეთს. ნამდვილად კი შემოსავალი ბევრად მეტი იქნება.

ამიერ-კავკასიის წარმოების არა ნაკლებს მნიშვნელოვანს დარგს წარმოადგენს თამბაქოს მრეწველობა. მეთამბაქოებას ამიერ-კავკასიაში პროდუქციის რაოდენობით და მიღებულ თამბაქოს ღირსების მიხედვით წინა წლებში თვალსაჩინო ადგილი ეჭირა მეთამბაქოების სხვა ქვეყნებთან შედარებით. ყვითელ თუთუნის საერთო მოსავალი უდრიდა 800-850-მდე ათას ფუთს წელიწადში. ამ თამბაქოს მომეტებული ნაწილი რუსეთში გაჰქონდათ, ნაწილი საზღვარგარეთ, ხოლო 100.000-მდე ფუთს გადაამუშავებდნენ ხოლმე ადგილობრივ ფაბრიკებში. თამბაქოს მრეწველობა ამ მხარეში ძალიან წინ მიდიოდა და იყო საბუთი გვეფიქრა, რომ აქაური ქარხნები გააძლიერებდნენ თავის ნაწარმოებთა გატანას რუსეთში. სამწუხაროდ ამ ჟამად ოცნებაც არ შეიძლება ექსპორტზე. საქმე იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენში მეთამბაქოება მწვავე კრიზისს განიცდის. სოხუმის რაიონი ცოტა თამბაქოს იძლევა, ხოლო კახეთის რაიონში მეთამბაქოება დიდად დაეცა. ჩვენი თამბაქოს ქარხნები ძველად გადარჩენილ თამბაქოს ამუშავებდნენ, რომელიც უკვე ილევა. თუ ახლავე არ იქნა მიღებული სერიოზული ზომები მეთამბაქოების აღსადგენად, მაშინ ჩვენი ხაზინა უნდა შეურიგდეს თამბაქოს მრეწველობიდან შემოსავლის დაკარგვას.

ამ ჟამად ამიერ-კავკასიის თამბაქოს ქარხნებში წელიწადში მუშავდება 120.000-მდე ფუთი თამბაქო.

შემდეგ მნიშვნელოვანს, აქციზით დასაბეგვრს საგანს შეადგენს ღვინო, რომლის მოსავალიც სტატისტიკის ცნობით წინად მთელს ამიერ-კავკასიაში შეადგენდა 15-მდე მილიონ ვედროს. ღვინის უდიდესი ნაწილი ადგილობრივ იხარჯება, მცირე ნაწილი ამიერ-კავკასიის ქალაქებში მიდის გასასყიდად და უფრო ამაზე მცირე (ერთ მილიონამდე ვედრო) რუსეთში გააქვთ, აქციზ გადახდილ ღვინის ხარჯი უნდა იყოს არა ნაკლებ 3.4 მილიონი ვედროსი წელიწადში.

ამ ჟამად ამიერ-კავკასიაში აქციზი შემოდის არა უმეტეს 2 მილიონი ვედროსაგან.

თუ აქციზ დასადებ ღვინის რაოდენობას 3 მილიონ ვედრომდე ავიყვანთ, დღევანდელის განაკვეთით ხაზინას შემოუვა ერთ მილიარდამდე მან. წელიწადში.

ყოველ წლიურად მიღებულ მარილის საშუალო ჯამი ამიერ-კავკასიაში უდრის 2.000.000 ფუთს, რამაც წელს უნდა მოგვცეს 180 მილ. მანეთამდე.

ჩაის მოსავალი აღწევს 300.000 გირვანქას. მისი აქციზი აღემატება 50 მილიარდ მანეთს.

ნავთის პროდუქტების რაოდენობიდან (3 მილიონი ფუთი), რომელიც ამიერ-კავკასიის ფარგლებში იხარჯება, უნდა მოველოდეთ 1000 მილიარდამდე მანეთს.

რაც შეეხება არა პირდაპირ გადასახადით დასაბეგვრ მეორე ხარისხოვან საგნებს, მაგალითად: წუმწუმას, ლუდს, შაქარს, შემოტანილ ჩაის, პაპიროზის გილზებს და ქაღალდს, სანთელს და სხვას, ამა წლის პირველ ხუთის თვის განმავლობაში შემოსულ აქციზის მიხედვით წლიური ჯამი იმ შემოსავლისა უნდა იყოს 400 მილიარდ მანეთამდე.

ის შემოსავალი, რომელიც ამრიგად ხელსაყრელ სამეურნეო პირობებში არაპირდაპირი გადასახადების სახით ხაზინას უნდა შეუვიდეს, სამჯერ ნაკლებია 1913 წელს შემოსულ სააქციზო გადასახადზე. ამ შემოსავლის შემცირება აიხსნება წარმოების შემოკლების გარდა **დაბალის განაკვეთების დაწესებითაც ომის წინა დროსთან შედარებით.** მაგალითად 1913 წელს ერთ გირვანქა თამბაქოს ნაწარმოებს უწევდა 1 მ. 10 კ. გადასახადი, ახლა კი უწევს მხოლოდ 45 კ., ნავთს შეწერილი ჰქონდა 1913 წ. 60 კ. ფუთზე, ახლა კი შეწერილი აქვს 18 კაპ. ფაქტიურად ხილისა და ყურძნის სპირტს 1913 წელს უწევდა 4,2 კ., ახლა კი საშუალოდ თითო გრადუსს უწევს 1 კ.

ჩვენ ჯერ-ჯერობით არ უნდა შევასუსტოთ საგადასახადო პრესი არა პირდაპირ დაბეგვრის სფეროში და ყველა ზომები უნდა მივიღოთ მთელის სიმძიმის ცენტრის თანდათან გადასატანად პირდაპირ გადასახადებზე, სადაც ჩვენ შესაძლებლობა გვეძლევა გადასახადების სფეროში ჩვენი კლასობრივი პოლიტიკა განვახორციელოთ.

თუ ამ მხრით ჩვენ ვიმყოფებით საგადასახადო სისტემის პირველ საფეხურებზე და ძალაუნებურად უნდა დავკმაყოფილდეთ პირდაპირ გადასახადთა უშნო, პრიმიტიული ფორმებით, ამის მიზეზი მდგომარეობს ჩვენს უმოქმედებასა ან დაუდევრობაში კი არა, არამედ საერთო ეკონომიურს პირობებში, რომელშიაც იმყოფებიან ამ ჟამად ყველა საბჭოთა რესპუბლიკები, სადაც პირდაპირ გადასახადებით სარგებლობის სფერო უკიდურესად განსაზღვრულია. პროცესი მოსახლეობის დანაწილებისა შეძლეობის მიხედვით, ეკონომიურ ურთიერთობათა გამომჟღავნებისა და სამეურნეო ფორმათა დაწესებისა—ყველა ეს აუცილებელი პირობაა პირდაპირ გადასახადების სისტემის განვითარებისათვის—ჩვენში თითქმის ახლად ჩასახვის მდგომარეობაშია. ამის მიუხედავათ ჩვენ თამამად შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ზოგიერთ შემთხვევებში ჩვენ კუდში არა ვსდევთ სხვა მოკავშირე რესპუბლიკებს, პირიქით გავასწარით კიდეც, მაგალითად სარეწაო დაბეგვრის სფეროში.

საბჭოთა ხელისუფლების პირველი აქტი ამიერ-კავკასიაში პირდაპირ გადასახადების შემოღების საქმეში იყო—დეკრეტი საერთო სამოქალაქო გადასახადის შესახებ, გამოქვეყნებული ამა წლის მარტის 9-ს, შემდეგ დეკრეტი სალერბო გადასახადის შესახებ (მარტის 26), სარეწაო გადასახადის შესახებ (აპრილის 5) და ბოლოს მთლიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ, რომელიც შემოღებულ იქნა სასოფლო მეურნეობაზე დაწესებულ ყველა გადასახადის ნაცვლად.

საერთო სამოქალაქო გადასახადის აკრება ჩქარა დასრულდება. ამასთან ცალკე რესპუბლიკებში მუშაობა ერთნაირად არ მიმდინარეობდა.

აზერბეიჯანში კამპანიამ წარმატებით ჩაიარა, საქართველოში—ზოგიერთ დეფექტებით, ხოლო სომხეთში—ცუდად.

უკანასკნელში საქმე იქამდე მივიდა, რომ ადგილობრივმა სახალხო კომისართა საბჭომ წინააღმდეგ ამიერ-კავკასიის ფედერაციის კონსტიტუციისა დადგენილება გამოიტანა საერთო სამოქალაქო გადასახადის გაუქმების შესახებ სოფლის მოსახლეობისთვის და დაუყოვნებლივ შეუდგა ამ დადგენილების სისრულეში მოყვანას.

ყველაზე სამწუხარო ის არის, რომ ამ საქმეში ინიციატივა ეკუთვნოდა ა. კ. ფინანსთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულს სომხეთში.

ამას გარდა სომხეთში გაგზავნილმა ინსტრუქტორ-რევიზორმა აღმოაჩინა ფაქტები დეკრეტის მოთხოვნილებისა და გადასახადის განაკვეთების გამოანგარიშების წესების დარღვევისა. ამ გარემოებამ დიდად შეამცირა საფინანსო შედეგები, რომელიც გამოიხატა 10 მილიარდ მანეთში ნაცვლად მოსალოდნელ 70 მილიარდისა.

საქართველოში მდგომარეობა რამდენიმე უკეთესი იყო. ამის მიუხედავად აქაც მუშაობამ მძიმედ ჩაიარა და არა დაკვრითი წესით; მხოლოდ ათის დღის შემდეგ დეკრეტის მიღებიდან ფინანსთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულმა საქართველოში შუამდგომლობა აღძრა სათანადო ორგანოთა წინაშე მის განკარგულებაში მომუშავეთა კადრის გამოგზავნის შესახებ გადასახადის განსახორციელებლად. მთელი მოქმედება დიდის დაგვიანებით მიმდინარეობდა, რის გამო გადასახადის გადამხდელთ საშუალება არა ჰქონდათ თავის დროზე მოეხადათ საგადასახადო ვალდებულება.

მიუხედავათ ასეთ არა ხელსაყრელ გარემოებისა საქართველოში მაინც აკრებილ იქნა 130-მდე მილიარდი მან.

აზერბეიჯანში საქმე ბევრად უკეთესად არის, ვიდრე დანარჩენ რესპუბლიკებში. მართალია ფულის გვიან გასტუმრებას აქაც ჰქონდა ადგილი, მაგრამ საფინანსო ორგანოების მიზეზით კი არა, არამედ ზოგიერთ დაწესებულებებისა და წარმოების მხრით, რომელნიც უცდიდნენ გადასახადის შეტანის უკანასკნელ ვადას. ამის გამო ფინანსთა კომისარიატის კასას ვადის გასვლისას იმდენი გადამხდელი მიაწყდა, რომ შეუძლებელი იყო ფულის თავის დროზე ჩაბარება. მიღებულ ცნობებით აზერბეიჯანმა საერთო სამოქალაქო გადასახადის სახით გაიღო 130 მილიარდზე მეტი მან.

სამოქალაქო გადასახადთან ერთად ამ ჟამად ხორციელდება ძირითადი სარეწაო გადასახადი. ჯერ ზედმიწევნითი ცნობები არ არის მოსული ამ გადასახადის შემოსავლის შესახებ, მაგრამ იმ მცირე ცნობების მიხედვით, რომელიც მიღებულია ადგილებიდან, შეიძლება გადაჭრით ვსთქვათ, რომ სარეწაო გადასახადის შემოსავლის საქმე წარმატებით მიდის საქართველოში და აზერბეიჯანში, ხოლო ძალიან სუსტად სომხეთში.

სალერბო გადასახადის შემოსვლა საკმაოდ სუსტად მიმდინარეობს მთელს ამიერ-კავკასიაში, რის გამოც ამ ფრონტზე საფინანსო მუშაკებს დიდი მუშაობა მოუხდებათ მოსახლეობაში, რომელიც სალერბო გადასახადს გადაეჩვია.

ამ გადასახადის სახით დღემდე შემოვიდა: საქართველოში—40-მდე მილიარდი მან., აზერბეიჯანში—35 და სომხეთში—5 მილიარდამდე.

ყველაზე გვიან მთლიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადის დეკრეტი გამოქვეყნდა. მისი სქემა რამდენამდე განსხვავდება რუსეთში მიღებულისაგან. ცვლილებანი და კორექტივები შეტანილია ამიერ-კავკასიის სასოფლო მეურნეობის თავისებურებათა მიხედვით. ამ გადასახადის განსახორციელებლად კამპანია მხოლოდ ახლა იწყება და ამიტომ ამაზე დიდხანს აღარ შევჩერდებით.

წინასწარ სტატისტიკური გამოანგარიშების თანახმათ, თუ ენერგიულათ ვიმუშავებთ, ეს გადასახადი მოგვცემს 7 მილიონ ფუთამდე ხორბლის ერთეულს.

რიგში სდგას დიდი და მნიშვნელოვანი საკითხი—შემოსავლის კვალობაზე გადასახადის განხორციელებისა. ეს გადასახადი უნდა გაიწეროს რაც შეიძლება მიზანშეწონილათ, ადგილობრივი ცხოვრების ყველა თავისებურებათა მხედველობაში მიღებით.

ამ გადასახადის შემოღებით კიდეც დამთავრდება ჩვენი მუშაობა საგადასახადო დაბეგვრის წინასწარ სქემის აგების საქმეში.

ამ სქემას, რასაკვირველია, დიდი ნაკლი აქვს და უწინარეს ყოვლისა თვალში გვეცემა დაბეგვრის მრავალსახეობა, მაგრამ თანამედროვე ეკონომიური პირობები შეძლებას არ გვაძლევს, რომ ვიოცნებოთ რადიკალურ რეფორმაზე ამ მრავალსახეობის თავიდან ასაცილებლად და გაერთიანებულ გადასახადების იდეალურ სისტემის შემოღებაზე.

ის, რაც შესაძლებელი იყო ამ მხრით, უკვე გაკეთებულია. შემოღებულია მთლიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადი ნაცვლად ყველა იმ გადასახადისა და ხარკისა, რომელიც ხვდებოდა დღემდე სოფლელს. მოკლე ხანში შემოღებული იქნება შემოსავლის კვალობითი გადასახადი, მართალია ისე როგორც პრინციპიალური ზომა, მოსამზადებელი ნაბიჯი, რომელმაც ბოლოს ყველა გადასახადი უნდა შესცვალოს, მაგრამ, ვიმეორებთ, უნდა შესცვალოს შემდეგში, როდესაც ჩვენს მხარეში კვლავ განვითარდება ვაჭრობა და მრეწველობა, როდესაც დანარჩენი გადასახადები გამოამჟღავნებენ ყველა დასაბეგვრ ობიექტებს და როდესაც ჩვენის ახალგაზრდა საგადასახადო აპარატის წინასწარი მუშაობა და მისი შევსება პასუხისმგებელ პარტიულ მუშაკებით აიყვანენ მას სათანადო ტეხნიკურ და იდეიურ სიმაღლეზე.

ამ მხრით ჩვენი პერსპექტივები იმედის აღმძვრელია. ამიერ-კავკასიის უთვალავი ბუნებრივი რესურსები ნებას აძლევენ მხარეს სწრაფად აამოძრაოს თავისი საწარმოო ძალები, ხოლო სიმრავლე წითელი ახალგაზრდობისა, რომელიც გვყავს, საუკეთესო თავდებია საგადასახადო აპარატის ჩქარა გაჯანსაღებისა და განმტკიცებისა.

ა. ერქომაიშვილი.

რადიო-ტელეგრამები

კომინტერნის აღმასკომის პლენუმი

იტალიის საკითხის შესახებ.

მოსკოვი. 25 ივნისი. კომინტერნის აღმასკომის პლენუმის მიერ მიღებულ რეზოლიუციაში იტალიის საკითხის შესახებ, აღნიშნულია მიზეზები, რომელმაც ხელი შეუშალა კომუნისტური პარტიის გაერთიანებას სოციალისტურ პარტიის უმრავლესობასთან. ეს მიზეზი მდგომარეობს ერთის მხრივ იტალიაში მუშაობის აუტანელ პირობებში და მეორეს მხრივ ორივე პარტიის უწესო ტაქტიკაში. პლენუმი მიმართავს სოციალისტურ პარტიას ოფიციალურ წინადადებით, შექმნას ერთიანი ფრონტი კომუნისტებთან, იკისროს შუამავლობა და უზრუნველყოს ლოიალური დამოკიდებულება კომუნისტების მხრივ. აღმასკომი აღნიშნავს, რომ დღეს ორივე პარტიის ფორმალური გაერთიანება არ არის დასმული დღის წესრიგში. სოციალისტურ პარტიის წევრების—მუშების მიმართ ძმურ განწყობილების დასამტკიცებლად, აღმასკომი მზადაა მიუხედავად სოციალისტების ცეკას მტრული პოზიციისა მიიღოს ისინი კომინტერნის მომხრეთა რიცხვში.

რეზოლიუციაში, რომელიც ეხება ავსტრიის კომუნისტურ პარტიასთან უთანხმოებას, პლენუმი აღნიშნავს, რომ პრინციპიალური წინააღმდეგობა არ არსებობს და ავალებს ცეკას ყოველგვარ პარტიულ მუშაობაში ჩააბას უმცირესობათა წარმომადგენლებიც.

რეზოლიუცია კოოპერატიულ მოძრაობის შესახებ, აღნიშნავს რა ფაშისტურ რეაქციის მუქარას პროლეტარიატის კოოპერატიულ ორგანიზაციების მიმართ, შენიშნავს, რომ უკანასკნელნი უნდა შეუკავშირდნენ პროლეტარიატის მებრძოლ ორგანიზაციებს ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. აღნიშნავს რა, რომ საჭიროა თანამშრომლობა კოოპერატიულ პროფკავშირებთან, აღმასკომი დაჟინებით მოითხოვს პროფკავშირთა მსოფლიო კონფერენციის მოწვევას, მუშათა მოძრაობის მნიშვნელოვან საკითხების გადასაწყვეტად, როგორიც არის, ომის მუქარის, სიძვირის, სამუშაო დღის გადიდების წინააღმდეგ ბრძოლა, წარმოებაზე კონტროლის დაწესება, პროლეტარიატის შეიარაღება, მუშათა და გლეხთა მთავრობა.

იაპონიის კომუნისტების წინააღმდეგ ტერორის საკითხის გამო აღმასკომი გამოთქვამს თანაგრძნობას იაპონიის კომუნისტებისადმი და აღნიშნავს, რომ იაპონიის მთავრობა სცდილობს ჩააქროს იაპონიაში მთელი მუშათა მოძრაობა. კომინტერნი მოუწოდებს იაპონიის მუშებს, განსაკუთრებით ახალგაზრდობას განაგრძონ იმ კომუნისტების საქმე, რომელნიც ჩაყრილნი არიან ციხეში და ბარბაროსულ ტერორს დაუპირდაპირონ მშრომელთა ერთიანი ფრონტი.

პროფინტერნის ცენტრალური საბჭოს სხდომა

ამხ. ლოზოვსკის მოხსენება.

მოსკოვი. 26 ივნისი. დღეს გაიხსნა პროფინტერნის საბჭოს სხდომა. აღმასრულებელი ბიუროს ანგარიშში ამხ. ლოზოვსკიმ აღნიშნა ძირითადი საერთაშორისო მომენტები, რომლებიც მიმართულებას აძლევდენ პროფინტერნის მუშაობას, ეს არის—საერთაშორისო კონფლიქტების გამწვავება, ფაშისტური საფრთხის გაძლიერება, მუშების მხრივ შეტევაზე გადმოსულ კაპიტალისათვის წინააღმდეგობის გაწევის გაძლიერება, რეფორმიზმის გაკოტრება იდეურათ. ეს პირობები პროფინტერნმა გამოიყენა მუშათა კლასის რიგების განსამტკიცებლად და ერთიანი ფრონტის ლოზუნგის ცხოვრებაში გასატარებლად.

ამ მუშაობას პროფინტერნი კომინტერნთან მტკიცე თანხმობით აწარმოებდა. ამხ. ლოზოვსკი ამბობს, რომ თანამშრომლობას კომინტერნსა და პროფინტერნს შორის საქმიანი ხასიათი ქონდა. ამ თანამშრომლობას ვერავინ უკიჟინებს პროფინტერნს, რადგან ასეთი „საქმიანი თანამშრომლობა“ აქვთ ყველა იმ ჯგუფებს, რომლებსაც პროფინტერნის წინააღმდეგ ერთიანი ფრონტი აქვთ შექმნილი.

ამხ. ლოზოვსკი ვრცლად ეხება პროფინტერნის მუშაობის კრიტიკას ანარქო-სინდიკალისტების მხრივ და აცხადებს, რომ თუ ანარქისტები განაგრძობენ თავის პოლიტიკას, პროფინტერნი ბრძოლას გამოუცხადებს მათ, როგორც კონტრ-რევოლიუციონერებს. ეს იქნება ბრძოლა მხოლოდ ანარქო-სინდიკალისტური მოძრაობის ხელმძღვანელებთან, რადგან ანარქისტული პროფკავშირების წევრების ფართე მასსები პროფინტერნისაკენ ილტვიან.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში პროფინტერნის მუშაობის ცენტრს შეადგენდა ბრძოლა ომის საფრთხის და ფაშიზმის წინააღმდეგ. ამ მუშაობაში პროფინტერნმა მნიშვნელოვან შედეგებს მიაღწია.

ამხ. ლოზოვსკი ვრცლად ეხება ცალკე ქვეყნებში პროფ. მოძრაობის მდგომარეობას და აღნიშნავს მათ წინაშე მდგომ მორიგ ამოცანებს. დასასრულ ის ამბობს: „მსოფლიო მუშათა მოძრაობა კრიზისს განიცდის. მხოლოდ კომინტერნის და პროფინტერნის ენერგიულმა ბრძოლამ შეანარჩუნებია მშრომელთა მასსებს ინტერნაციონალური იდეის რწმენა, რომელიც შებღალეს და ტალახში ამოსვარეს რეფორმისტებმა. უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში პროფინტერნმა დიდ შედეგებს მიაღწია, მაგრამ დანაშაული იქნებოდა მხოლოდ ამ შედეგებით დაკმაყოფილება და გულზე ხელის დაკრეფა. მილიონი პროლეტარები ჯერ კიდევ რეფორმისტების გავლენის ქვეშ იმყოფებიან, ათეული მილიონები ყოველგვარი პროფორგანიზაციის გარეშე არიან დარჩენილი. ჩვენ არ ვიცით, რამდენი წლის მუშაობა დაგვჭირდება, რომ ჩვენს მხარეზე გადმოვიყვანოთ ყველა ქვეყნის მუშების უმრავლესობა. ერთი რამ აშკარაა: ამსტერდამის ინტერნაციონალი უფსკრულისკენ მიექანება, პროფინტერნი მწვერვალისაკენ მიდის, ეს გვაძლევს საბოლოო გამარჯვების იმედს“.

კამათი ამხ. ლოზოვსკის მოხსენების გარშემო.

საფრანგეთის დელეგატი ძირითად საკითხებში ეთანხმება ამხ. ლოზოვსკის, მაგრამ იცავს იმ წესებს, რომლებიც მიღებულია საფრანგეთის პროფმოძრაობაში, ე. ი. ყველა საკითხის პროფკავშირების მიერ გადაჭრას.

სხვა ქვეყნების დელეგატების უმრავლესობა ილაშქრებს საფრანგეთის წესების წინააღმდეგ. ორატორები აღნიშნავდენ, რომ პარტიასა და პროფკავშირებს შორის ურთიერთობის საკითხი უკვე გარკვეულია მეორე კონგრესის რეზოლიუციებით.

ესპანელი დელეგატი მაურინი აღნიშნავს, რომ პროფინტერნი მეტად ლმობიერად ეპყრობა ანარქო-სინდიკალისტებს.

ამხ. ლოზოვსკის საბოლოო სიტყვა.

საბოლოო სიტყვაში ამხ. ლოზოვსკი აღნიშნავს ერთად-ერთ ოპოზიციონურ გამოსვლას საფრანგეთის სინდიკალისტების მხრივ, რომლებიც არიან პროფინტერნის და არა პროფინტერნისადმი ოპოზიცია. ეს ჯგუფი ორგანიულად არის შეკავშირებული პროფინტერნთან.

ამხ. ლოზოვსკი შედარებითი დახასიათებას აძლევს ანარქო-სინდიკალიზმს და კომუნიზმს და აღნიშნავს, რომ ანარქო-სინდიკალისტების მუშაობა სრულ არარაობამდი მიიყვანს პროფინტერნის მოქმედების შედეგებს.. ამხ. ლოზოვსკი აღნიშნავს რა, რომ პროფინტერნის საბჭოში სრული ერთსულოვნება არსებობს მოხსენების მთავარ მუხლებში, მიუთითებს კომინტერნის უდავო ზრდაზე, რომელიც შედეგია იმის, რომ პროფინტერნი თავიდან სწორ ხაზს ატარებდა. ეს ხაზი არის—ძალების შეკრება საერთო მტრის წინააღმდეგ. მუშათა მოძრაობა თავს მოიყრის ერთ ინტერნაციონალში,—ამბობენ კომუნისტები, წინააღმდეგ სინდიკალისტებისა, რომლებიც ქადაგებენ პროფესიონალურ ინტერნაციონალს. მაგრამ ეს აზრთა სხვა და სხვაობა არ შეასუსტებს ჩვენს ბრძოლას, რომელიც აგებულია ერთიან დირექტივებზე, ბრძოლის ერთნაირ მეთოდებზე და ერთ მიზანზე.

ბოიკოტი შვეიცარიას

ბერლინი. 25 ივნისი. საბჭოთა მთავრობის მიერ შვეიცარიისათვის ბოიკოტის გამოცხადების შესახებ, „ფრანკფურტერ ცეიტუნგი“ სწერს: „რუსეთის მიერ შვეიცარიისათვის გამოცხადებული ბოიკოტი შეიძლება ცუდათ გათავდეს, მით უმეტეს, რომ **რუსეთი უფრო მეტს აძლევდა შვეიცარიას, ვინემ მისგან ღებულობდა**“.

შვეიცარიის ბურჟუაზიული გაზეთები უკომენტარიოდ ხვდებიან ბოიკოტის გამოცხადებას.

„ბაზლერ ფორვერტსი“ სწერს: „**შვეიცარიის საბჭომ შესაფერი პასუხი მიიღო იმ ლაქიობისათვის, რომელსაც ის ანტანტას უწევს.**“

შვეიცარიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიის ცენტრალურ კომიტეტის

ორგანო სრულიად გაუგებრად და სამარცხვინოთ სთვლის შვეიცარიის ეროვნულ საბჭოს სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციის მოქმედებას, რომელმაც თავი შეიკავა ვოროვსკის მოკვლის საკითხის კენჭის ყრის დროს გაზეთის აზრით, სოციალ-დემოკრატებს მხარი უნდა დაეჭირათ კომუნისტების შეკითხვისათვის, რომელიც სავსებით ეთანხმება პარტიის შეხედულებას რუსეთის საკითხის შესახებ.

გადატრიალება ბულგარეთში

რუს ლტოლვილების მდგომარეობა.

ვენა. 26 ივნისი. ბულგარეთის მთავრობის ბრძანების თანახმად რუს ლტოლვილებს მიენიჭა ისეთივე უფლებები, როგორიც ბულგარეთის მოქალაქეებს. გაუქმებულია ყოველგვარი შეზღუდვა რუს ლტოლვილების უფლებების.

ისარგებლეს რა ამით, რუსმა თეთრგვარდიელებმა გააძლიერეს იმ რუს ლტოლვილების დევნა, რომლებსაც სამშობლოში დაბრუნება სურთ. გაზეთი „ახალი რუსეთი“ მიაქცევს მთავრობის ყურადღებას თეთრ გვარდიელების მოღვაწეობაზე და მოითხოვს რუსი ლტოლვილების ინტერესების დაცვას.

ანტანტის პოზიცია.

ვენა. 25 ივნისი. საფრანგეთი და საბერძნეთი დაეთანხმენ სამხრეთსლავიის წინადადებას ბულგარეთის წინააღმდეგ შეთანხმებული გამოსვლის შესახებ. იტალია წინადადებას არ დაეთანხმა. ინგლისმა და რუმინეთმა განაცხადა, რომ დაეთანხმებიან სლავიის წინადადებას იმ შემთხვევაში თუ ბულგარეთის ახალი მთავრობა დაარღვევს ზავის პირობებს. ახლა, იმის შემდეგ, რაც საფრანგეთმა იცნო ბულგარეთის ახალი მთავრობა, საბერძნეთმაც შესცვალა თავისი პოზიცია.

რურის საკითხი

ნახშირის მარაგის რეკვიზიცია.

პარიზი. 25 ივნისი. ჰავასის სააგენტოს ცნობით, საოკუპაციო ჯარების სარდალმა ბრძანება გასცა რურის ოლქში ნახშირის მთელი მარაგის რეკვიზიციის შესახებ. საკონტროლო კომისიის განცხადებით ეს მარაგი საჭიროა ბელგიისა და საფრანგეთისათვის.

კვლავ მკვლელობა.

პარიზი. 27 ივნისი. გადმოგვცემენ, რომ რამოდენიმე გერმანელი, რომელთაც აკრძალული ჰქონდათ ღამით ქუჩაში გამოსვლა, მოკლული და დაჭრილი იქნენ ბელგიის პატრულის მიერ ბიურში.

შეთანხმება შეუძლებელია.

პარიზი. 25 ივნისი. „ენტრანსიჟანის“ აზრით, გერმანიის მთავრობის ნახევრათ-ოფიციალური განცხადება, რომ შეუძლებელია რურის რკინისგზების გადაცემა მოკავშირეებისათვის, შეუძლებლათ ხდის შეთანხმებას მოკავშირეებსა და გერმანიას შორის.

ანტანტა თათბირობს.

ლონდონი. 25 ივნისი. მოლაპარაკება ლონდონსა, პარიზსა და ბრიუსელს შორის რეპარაციების შესახებ გაჭიანურდა. საფრანგეთის მთავრობა, რომელსაც სურს ბელგიასთან შეთანხმებით მოქმედება, უკმაყოფილოა ინგლისის აუჩქარებლობით.

ლოზანას კონფერენცია

პარიზი. 25 ივნისს ლოზანას კონფერენციის უკანასკნელ სხდომაზე ირჩეოდა საზავო ხელშეკრულების პუნქტი. ოსმალეთის დელეგაციამ განაცხადა, რომ ის არ განიხილავს კონცესიების საკითხს სანამ სტამბოლის ევაკუაციის საკითხი ოსმალეთის სასარგებლოდ არ გადაიჭრება.

„უნუგეშო მდგომარეობა“

ლონდონი. 26 ივნის. წერილში სათაურით „უნუგეშო მდგომარეობა ლოზანაში“ „დეილი ტელეგრაფი“ სწერს: **„ოსმალებმა გადაწყვიტეს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუთანხმდენ ევროპიელ კონცესიონერებს, თუ მოკავშირენი დათანხმდებიან გააუქმონ ოსმალეთის ვალის ორი მესამედი.** მოკავშირეები დიდ დათმობაზე წავლენ ზავის ჩამოსაგდებათ, მაგრამ ასეთი მოთხოვნილებები მათთვის მიუღებელია“.

წითელი ახალგაზრდობა

რუსეთი.

სრულიად რუსეთის ახალგაზრდათა კომკავშირის კონფერენცია.

მოსკოვი. 26 ივნისს. სრულიად რუსეთის ახალგაზრდათა კომკავშირის კონფერენციაზე მოსმენილ იქნა ამხ. ბუხარინის მოხსენება საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ.

ახალგაზრდობის კომინტერნის აღმასკომის მოხსენების გამო მიღებულია რეზოლიუცია, რომელიც აღნიშნავს, რომ საჭიროა გაძლიერებულ იქნას მუშაობა რუსეთის მუშათა-ახალგაზრდობის ინტერნაციონალურად აღსაზრდელად და სხვა ქვეყნების ახალგაზრდათა კომკავშირთა ორგანიზაციებთან კავშირის განსამტკიცებლად, რისთვისაც საჭიროა სისტემატიური ხასიათი მიეცეს რუსეთის ახალგაზრდათა კომკავშირის იაჩეიკების მომაგრებას ახალგაზრდათა კომკავშირის საზღვარგარეთელ იაჩეიკებზე.

ტიხონმა პატიება ითხოვა

მოსკოვი. 26 ივნისი. ყოფილმა პატრიარქმა ტიხონმა, ვასილ ბელაკინმა, განცხადებით მიმართა უმაღლეს სასამართლოს. ვასილ ბელაკინი განცხადებაში სწერს, რომ ის აღიზარდა მონარქისტულ საზოგადოებაში და იმყოფებოდა ანტი-საბჭოთა ჯგუფების გავლენის ქვეშ, მართლაც მტრულად იყო განწყობილი საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ და ზოგჯერ აქტიურ გამოსვლებსაც კი მიმართავდა მის წინააღმდეგ. ტიხონი სამართლიანად სთვლის საბრალმდებლო ოქმში მისი მოღვაწეობის შესახებ მოყვანილ ცნობებს და მის დასმას დამნაშავეთა სკამზე. ტიხონი აცხადებს, რომ ის დამნაშავეთ სცნობს თავს და სთხოვს უმაღლეს სასამართლოს შესცვალოს თავისი დადგენილება და გაანთავისუფლოს ის. ტიხონი აცხადებს, რომ ის ამიერიდან არ არის საბჭოთა წყობილების მტერი და სწყვეტს ყოველგვარ კავშირს შინაურ და უცხოეთის თეთრგვარდიელებთან და კონტრ-რევოლიუციასთან.

უმაღლესმა სასამართლომ ბელაკინი შუამდგომლობა დააკმაყოფილა და გაანთავისუფლა ის ციხიდან.

საერთაშორისო მუშათა მოძრაობა

რურის გაფიცვების დაწვრილებითი ცნობები

გაფიცვა რურში ნაწილობრივ იყო გამოწვეული გერმანიის ბურჟუაზიის და გერმანიის მთავრობის მიერ, რომლებიც ცდილობდენ შეეწყვიტათ წინააღმდეგობა ფრანგების მიმართ და ამისათვის ეძებდენ საბაბს კომუნიზმის და რევოლიუციის საფრთხის სახით.

გაფიცვა წარმოადგენდა რურის მუშების სტიქიურ პროტესტს მწარმოებლების წინააღმდეგ, რომლებიც მთავრობის დახმარებით უარს ამბობდენ სამუშაო ხელფასის მომატებაზე მაისის პირველ კვირეებში ფასები გაიზარდა ორჯერ და თითქმის სამჯერაც, ხოლო სამუშაო ხელფასი არ მატულობდა — გერმანიის მუშების უმრავლესობა ღებულობდა სამუშაო ხელფასს მარტის ბოლო რიცხვების განაკვეთების მიხედვით, ხოლო სამთო-მადნო მუშები კი 9 თებერვალს დაწესებულ განაკვეთებით. ამ მდგომარეობას უნდა გამოეწვია აჯანყება და ბუნებრივია, რომ ეს აჯანყება მოხდა რურის ოლქში, სადაც გერმანელი მუშა განსაკუთრებულ ცუდ პირობებში იმყოფება.

გაფიცვა დაიწყო 15 მაისს დორტმუნდის რაიონის ერთ ერთ მაღაროს მუშებმა, რომლებმაც მოითხოვეს სამუშაო ხელფასის 40 პროცენტით მომატება. ორი დღის შემდეგ გაფიცულებს შეუერთდენ კიდევ რამოდენიმე მაღაროების მუშები, რომლებმაც წამოაყენეს წინადადება, რომელიც შემდეგში წარმოადგენდა გაფიცულების მთავარ მოთხოვნილებას სახელდობრ სამუშაო ხელფასის მომატება მაისის პირველი ნახევრისათვის 50 პროცენტით, ხოლო მაისის მეორე ნახევრისათვის კიდევ 50 პროცენტით. ჩქარა გაფიცვა მოედო მთელი დორტმუნდის რაიონს და მაისში გამართულმა დორტმუნდის ფაბრიკა-ქარხნების საბჭოთა კონფერენციამ დაადგინა იკისროს გაფიცვის ხელმძღვანელობა და ზემოდ მოყვანილი მოთხოვნილებების გარდა წამოაყენა კიდევ ერთი—მუშებისთვის ერთდროული დახმარების მიცემის შესახებ (უცოლოებისათვის 150.000 მარკის, ხოლო ცოლიანებისათვის—200 000 მ).

უნდა აღინიშნოს, რომ გაფიცვის დაწყებიდანვე ფასები ნახშირზე და ფოლადზე აწეული იყო 23 პროცენტით და გამოცხადებული იყო, რომ რკინის გზის ტარიფი პირველ ივლისიდან დიდდება ორჯერ, ხოლო ფასები პურზე — ოთხჯერ.

გაფიცულ სამთო-მადნო მუშებს შეუერთდა 40 ათასი დორტმუნდელი მელითონე, რომლებმაც წარადგინეს ანალოგიური მოთხოვნილება და უარყვეს მწარმოებელთა წინადადება სამუშაო ხელფასის 25 პროცენტით გადიდების შესახებ, ამავე დღეს გაფიცვა გამოაცხადა ქალ. ბოხუმის შვიდი ათასმა სამთო-მადნო მუშამ და მელითონემ.

შემდეგ გაფიცვა განვითარდა არაჩვეულებრივი სისწრაფით და მოედო დორტმუნდსა და ბოხუმს გარდა, კიდევ გელზენკირხენს, დაუკავებელ ოლქის ნაწილს, ესსენის ოლქის ნაწილს; გაფიცულნი იყვნენ სამთო-მადნო მუშები, მელითონეები, ხელზე მომუშავენი და ელექტრონის მუშები.

ოცდა სამ მაისს გაფიცული იყო უკვე დაახლოვებით 150 000 მუშა. ამავე დღეს დაარსდა დორტმუნდში ცენტრალური საგაფიცვო კომიტეტი, რომელმაც მიიღო თავის თავზე გაფიცვის ხელმძღვანელობა. კომიტეტში შევიდნენ: 1 წარმომადგენელი გერმანიის მელითონეთა კავშირიდან, 1 ფაბრიკის მუშების კავშირიდან, 1—ტრანსპორტელების გაერთიანებიდან, 1—საამშენებლო მუშათა კავშირიდან, 1—ქრისტიანულ და გირშდუნკერის კავშირებიდან, 4—ფიზიკურ და გონებრივ შრომის მუშაკთა უნიონიდან. ცენტრალურ საგაფიცვო კომიტეტში ხელმძღვანელობითი როლი ეკუთვნოდა უნიონს, რომელიც ამ დრომდე რამოდენიმედ განზე იდგა. პირველი მომენტიდან გაფიცვა ატარებდა მღელვარე ხასიათს. ფაშისტური ორგანიზაციები, რომლებიც საკმაოდ ძლიერი არიან რურის ოლქში, მაშინვე გამოვიდენ მუშების საწინააღმდეგო ბრძოლაში და ჯერ კიდევ თხუთმეტ მაისს, პირველი დემონსტრაციის დროს იყო გამოწვეული სისხლის მღვრელი შეტაკება ერთის მხრივ მუშებს და მეორის მხრივ ფაშისტებსა და საფრანგ. ჯარებს შორის ასეთივე შეტაკებები აუარებელი მსხვერპლით მოხდა ბოხუმში და გელზენკირხენში. **ეკონომიური გაფიცვა დაემსგავსა აჯანყებას, კლასობრივი ბრძოლა გადავიდა კლასობრივ ომში.** მიუხედავად ყოველგვარი რეპრესიებისა, გაფიცვა ფართოვდებოდა. 27 მაისს გაფიცული იყო უკვე 400 000 სამთომადნო მუშა (რურის ოლქის 550.000 სამთო-მადნო მუშიდან) და 60 000 მელითონე.

სისხლის მღვრელი შეტაკებანი გრძელდებოდა—27 მაისს ბოხუმში მოხდა მუშების შეტაკება ფაშისტებთან, რომლის შემდეგაც შეტაკების ადგილას აღმოჩნდა ასამდე დაჭრილი; მეორე დღეს, ფაშისტებმა პოლიციისა და საფრანგეთის ჯარების დახმარებით აიძულეს საგაფიცვო კომიტეტი გაქცეულიყო ქალაქიდან. ამის შემდეგ გაფიცვის ხელმძღვანელობა საბოლოოდ გადავიდა კომუნისტების და ფიზიკურ და გონებრივ შრომის მუშაკთა უნიონის ხელში.

რეფორმისტები ჩათრეულნი იყვნენ გაფიცვაში მასიურ სტიქიური მოძრაობით მათი სურვილის მიუხედავად და ყოველივე ძალღონეს ხმარობდენ, რომ შეესუსტებინათ და საჩქაროთ შეეწყვიტათ ის. მათ ყოველთვის შექონდათ გათიშვა მებრძოლთა რიგებში, აწარმოებდენ განუწყვეტელ პოლემიკას კომუნისტებთან, რომლებსაც ბრალს სდებდენ დიქტატორულ განზრახვებში და სხვა.

რეფორმისტების ეს ქცევა სახალხოდ იქნა გაკიცხული გერმანიის კომპარტიის ცეკას და მისი რურის საოლქო კომიტეტის მოწოდებებში. მუშები დახმარებას ღებულობდენ უნიონის უმნიშვნელო საშუალებებიდან და რუსეთის პურით, თავისუფალ კავშირთა მდიდარი კასები, მიუხედავად თხოვნისა, არ უწევდენ დახმარებას მებრძოლებს.

დაბოლოს გაფიცვის გაფართოებამ და მისმა ხასიათმა შეაშინა რეფორმისტები და მთავრობამ 29 მაისს შრომის სამინისტროში დაიწყო მოლაპარაკებამ წარმოებლების დ სამთომადნო მუშათა კავშირის წარმომადგენლების შორის, (ცენტრალურ საგაფიცვო კომიტეტის წარმომადგენლები ამ მოლაპარაკებაზე არ დაუშვეს), რომლის შემდეგაც მიღებულ იქნა დადგენილება პირველ ივნისიდან სამუშაო ხელფასის 50 პროცენტით გადიდების შესახებ. ლითონის მრეწველობის მწარმოებლები წავიდნენ ამ დათმობაზე რამოდენიმე დღის წინად და მელითონეთა უმრავლესობა იქნა დაკმაყოფილებული ამით.

მწარმოებელთა დათმობამ, რომელმაც დაამშვიდა გაფიცულთა ნაწილი და მელითონეთა ჩამოცილებამ საეჭვოდ გახადა საბოლოო გამარჯვების მიღწევა და ცენტრალურმა საგაფიცვო კომიტეტმა და უნიონმა იცნეს შემდეგი ბრძოლა ზედმეტად და 30 მაისს დაადგინეს შეეწყვიტათ გაფიცვა.

გაფიცვის დამთავრების შემდეგ მთელს ოლქში დაიწყო მისი ხელმძღვანელების დევნა, პროლეტარული რაზმები და საკონტროლო კომიტეტები იქნენ დათხოვნილი, დააპატიმრეს მრავალი კომუნისტები და გაფიცვის აქტიური ხელმძღვანელები.

რეფორმისტურმა კავშირებმა განაახლეს თავდასხმა კომუნისტებზე, რომლებიც განიცდიდენ დევნას საფრანგეთის და გერმანიის ხელისუფლების მხრივ.

კომპარტიის ცეკამ უარყო ყველა ბრალდებები და ფაბრიკა ქარხნების სრულიად გერმანიის საბჭოსთან ერთად გამოუშვა მოწოდება გერმანიის პროლეტარიატისადმი, რომელშიაც ბრალს სდებს გერმანიის მთავრობას ეროვნულ ღალატში და აღნიშნავს გერმანიის პროფკავშირთა საყოველთაო გაერთიანების ფილაჯობას და დანაშაულებრივ გულგრილობას რურის პროლეტარიატის სისხლის მღვრელ ბრძოლის დროს.

მთავრობის მიერ ჩადენილმა რეპრესიებმა გაფიცულების მიმართ გამოიწვია საყოველთაო აღშფოთება გერმანიის მუშებს შორის; გერმანიის ყოველი კუთხიდან იგზავნება მთავრობასთან დელეგაციები სხვა და სხვა მუშათა ორგანიზაციებიდან, რომლებიც მოითხოვენ დევნის შეწყვეტას, დაპატიმრებულთა განთავისუფლებას და პროვოკატორ-ფაშისტების დასჯას.

„საერ. მუშ. მოძ.“

უცხოეთის ცხოვრება

ავტომობილების მრეწველობა იტალიაში. 20—30 აპრილამდი მილანში მოწყობილი იყო იტალიის მრეწველობის გამოფენა, გამოფენის ყველა სხვა განყოფილებებს შორის უმთავრესი ადგილი ეჭირა ავტომობილების განყოფილებას, როგორც თავის სიდიდით, ისე მრავალსახიანობით. ამ განყოფილების ორგანიზაცია, ექსპონატების რიცხვი და ღირსება იტალიის ავტომობილების მრეწველობის მდგომარეობის საკმაო სურათს იძლევა. ავტომობილების განყოფილების ასეთი განსაკუთრებული ადგილი გამოფენაზე, დამამტკიცებელია იტალიის ავტომობილების მრეწველობის ინტენსიური განვითარებისა უკანასკნელი წლების განმავლობაში; სტანდების სამი მეოთხედი წარმოადგენდენ ეროვნულ წარმოების ნიმუშებს.

ავტომობილი იტალიაში ამჟამად არის მიმოსვლისა და გადაზიდვის მთავარი საშუალება, ის არის აგრეთვე ინგლისში, საფრანგეთში, ესპანეთში და ამერიკაში გასატან საქონელი ერთ-ერთი ძირითადი საგანი.

აგრეთვე ფართოდ იყო წარმოდგენილი გამოფენაზე მოტოციკლეტების წარმოება, აქაც სჩანდა ტექნიკისა და ესთეტიკის შეთანაბრება.

უნდა აღინიშნოს, რომ იტალია ავტომობილების და მოტოციკლეტების საერთაშორისო წარმოების ავანგარდში სდგას, მას კონსტრუქტორების დიდი რიცხვი ჰყავს, რომელთაც ქვეყნის პირობების მიხედვით, ანგარიში უნდა გაეწიათ ცუდ გზებისა და მთის ბუნებისათვის, ამიტომ ავტომობილები ყოველგვარ გზებისა, აღმართებისა და დაღმართებისათვის [illegible] იტალიელებმა არაჩვეულებრივ შედეგებს მიაღწიეს.

უმუშევრობა და ცხოვრების სიძვირე ინგლისში. „Ministri ot Labeur Ciazette“-ს ცნობებით უმუშევართა რიცხვი ინგლისში აპრილის უკანასკნელ კვირაში დავიდა 1.269 ათას კაცამდი, წინა კვირის 1.289 ათას კაცის წინააღმდეგ; 1922 წლის აპრილის ბოლო რიცხვებში უმუშევართა რიცხვი შეადგენდა 1.699 ათას კაცს. უმუშევართა რიცხვი ერთი წლის განმავლობაში საკმაოდ შემცირდა; ეს შემცირება უფრო შესამჩნევი იქნება თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ 500 ათასი კაცი ამთავრებს სკოლებს და ყველა ისინი შრომის გზაზე შედგებიან. უმუშევრობის პროცენტი ტრედ უნიონების წევრებს შორის იმავე თვის ბოლოსათვის შეადგენს 11,3 პროცენტს აპრილის მესამე კვირის 12,3 პროც. წინააღმდეგ; წარსული წლის აპრილის დასასრულში უმუშევრობის პროც. უდრიდა 17,0. იმავე გაზეთის ცნობებით, ცხოვრების სიძვირე ინგლისში 1-ლ მაისისათვის 70 პროც. იყო მხოლოდ მეტი იმაზე, რაც ომამდე არსებობდა; ცხოვრების ეს სიძვირე ა. წ. 1-ლ აპრილისათვის გამოიხატებოდა 74 პროც., 1922 წ. 1-ლ მაისისათვის კი ის შეადგენდა 81 პროცენტს.

ამასთანავე სურსათის ფასები, რძეზე და კარაქზე ფასების დაცემის გამო, 62 პროცენტით მეტია ომამდე არსებულ ფასებზე. მეორეს მხრივ შაქარმა 3 სამი მეოთხედი პროც. აიწია გირვანქაზე აპრილის ფასებთან შედარებით.

ამიერ კავკასიის ფედერაციაში

აზერბეიჯანი.

დაზღვევა ვითარდება.

ბაქო. 26 ივნისი. ჯევანშირის მაზრის დამზღვევი საბჭო პროფესიულად ანვითარებს თავის მოღვაწეობას. დაზღვეულია სახელმწიფო დაწესებულების და კერძო წარმოებების მოსამსახურეები და სოციალურ დაზღვევის სალაროში შეტანილია სათანადო დასაზღვევი გადასახადები.

სამგზავრო მატარებლის დამსხვრევა.

ბაქო 23 ივნისს სადგურ განჯას ახლოს რელსებიდან გადავარდა ბათომიდან ბაქოში მიმავალი სამგზავრო მატარებელი № 7. მხოლოდ შემთხვევითი მიზეზების გამო გადავარდნამ სერიოზული კატასტროფის ხასიათი არ მიიღო.

სამოქალაქო ომის მსხვერპლთა სასარგებლოდ.

ბაქო. 26 ივნისი. ბალახანის რაიონის მეცხრე სარეწავის მუშებმა, სამოქალაქო ომის მსხვერპლთა სასარგებლოდ, შესწირეს კავკასიის ცალკე არმიის ლოტარიის 180 მომგებიანი ბილეთი.

ბაქო. 26 ივნისი. ბაქოს კომუნალური მეურნეობის საბჭო წევრად შედის სრულიად რუსეთის გაერთიანებულ კომუნალურ მეურნეობის დამზადებელ განყოფილებაში.

ჰაეროპლანი „ბაქოს მუშა“.

ბაქო. ივნისი. შამხორის კომუნისტური პარტიის სამაზრო კომიტეტმა დაადგინა 15 ენკენისთვისათვის შეაგროვოს 1000 მან. ოქრო ჰაეროპლან „ბაქოს მუშის“ შესაძენად. აღმასრულებელმა კომიტეტმა შესწირა ერთი ცხენი 200 მან. (ოქროთი) ღირებული.

აზერბეიჯანის მოქალაქეობის მიღება.

ბაქო. 26 ივნისი. ბაქოს საბჭოს პრეზიდიუმმა შუამდგომლობა აღძრა აზერბეიჯანის სახალხო კომისართა საბჭოს წინაშე, რათა მან დაამტკიცოს რუსეთის სოც. საბჭ. ფედერატიული რესპუბლიკის დეკრეტი აზერბეიჯანის სოც. საბჭ. რესპუბლიკის ქვეშევრდომობის მიღების შესახებ უცხოეთის ქვეშევრდომთა მიერ.

გადასახადის საქმე.

ბაქო 26 ივნისი. ჯევანშირის მაზრაში გარდასახადის აკრეფის საქმე წარმატებით მიდის და ამ დღეებში დასრულდება. ჯერჯერობით შეკრეფილია 4 მილიარდი მანეთი ამიერ-კავკასიის ფულის ნიშნებით. დარჩენილი გარდასახადი სახლებისა და ქონებისა ჯერ არ აკრეფილა.

სომხეთი

წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია.

ერევანი. 26 ივნისი. საბოლოოდ დასრულდა წერა-კითხვის ლიკვიდაცია საექიმო-სანიტარო კავშირის მუშაკთა შორის.

საურთიერთო დახმარების კასა.

ერევანი. 26 ივნისი. პროფესიონალურ კავშირთა პასუხისმგებელ მდივანთა თათბირმა დაადგინა საურთიერთო დახმარების საქმე გააძლიეროს და საამისოთ სათანადო ზომები მიიღოს.

პროფკავშირებში.

ერევანი. 26 ივნისი. გუმბრის პროფესიონალურ კავშირთა სამაზრო კონფერენცია მოწვეულია ივნისის 29-ს. სომხეთის პროფესიონალურ კავშირთა საბჭომ დაამთავრა სასტატისტიკო ცენტრის შედგენა და ახლა შეუდგა ასეთი ცენტრების მოწყობას გუმბრსა, ლორსა და კარაკლისში.

სპარსეთის ელჩის განცხადება

ბათომი. 26 ივნისი. სპარსეთის ელჩმა ბათომში მამედ ხან ფახიმმ მიიწვია დღის ადგილობრივი პრესის წარმომადგენლები, რათა ბოლო მოეღო გავრცელებულ ხმებისათვის, თითქოს სპარსეთში გაიმარჯვებიოს ინგლისის იმპერიალიზმს, მუსტოვფიელ-მამალეკის კაბინეტის დაცემასთან დაკავშირებით.—„ზოკროსტა“-ს კორესპონდენტთან საუბრის დროს სპარსეთის ელჩმა აღნიშნა, რომ მუსტოვფის კაბინეტის გადადგომა გამოწვეული იყო მეჯლისში შეტანილ მთელ რიგ კანონპროექტების მარცხით და **ეს სრულებით არ წარმოადგენს ანგლოფილური პარტიის გამარჯვებას თეირანში, როგორც ამას გაიძახიან ზოგიერთი უპასუხისმგებლო პირები.** ამ ხმების სიყალბის საუკეთესო დამტკიცებას წარმოადგენს ახალი პრემიერის მუშირ ელ დოვლეს პროგრამა, რომელიც მომხრეა საბჭოთა რუსეთთან მეგობრული ურთიერთობის დაჭერის. მუშირ ელ დოვლე ჯერ კიდევ ძველად, როცა ის იყო კაბინეტის თავმჯდომარე იჩენდა ამ მეგობრულ განწყობილებას: მაგალითად მან გაგზავნა მოსკოვში განსაკუთრებული საელჩო პოლიტიკურ ხელშეკრულების დასადებად სპარსეთსა და საბჭოთა რუსეთს შორის. მის მიერ არის გაგზავნილი მოსკოვში სავაჭრო მისია მოსკოვთან სავაჭრო ურთიერთობის შესამუშავებლად და ეს ხელშეკრულება ახლო მომავალში უნდა განხორციელდეს. სპარსეთში ძლიერ პოპულიარულია ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა უცხოეთის ძალადობის წინააღმდეგ და რამდენადაც საგარეო პოლიტიკაში საბჭოთა რუსეთი არ მისდევს მტაცებლურ მიზნებს საბჭოთა ფედერაციებისაკენ არის სპარსეთის ხალხის მთელი სიმპატიები.

პარტიული ცხოვრება

საგიტაციო კოლეგიების თათბირი.

საქართველოს კომპარტიის ტფილისის კომიტეტის საგიტაციო საპროპაგანდო განყოფილება იწვევს ხუთშაბათს, 28 ივნისს, დღის 12 საათზე საგიტაციო კოლეგიების თათბირს.

მოწვეული არიან პროფკავშირთა საბჭოს კულტურულ განყოფილების, ტფილისის კომიტეტის ქალთა განყოფილების, ტფილისის პოლიტიკური განათლების განყოფილების, რაიკომების საგიტაციო განყოფილების, ტფილისის გარნიზონის პოლიტიკურ სამდივნოს ქართული დივიზიის პოლიტიკური განყოფილების და საქართველოს ახალგაზრდობის კომკავშირის ტფილისის კომიტეტის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების წარმომადგენლები.

დღის წესრიგი: 1. ცნობა ამიერკავკასიის საგიტაციო განყოფილებების თათბირის შესახებ. 2. მუშაობის გეგმა ივლისისათვის. 3. პროფკავშირთა საბჭოს კულტურულ განყოფილების და ტფილისის პოლიტიკურ სამდივნოს ნაწილის ანგარიშები.

ტფილისის საორგანიზაციო განყოფილების გამგე: **ეხენი.**

საჭირო საქმე.

მე მსურს ამ წერილით, როგორც [illegible] მოწინავე პარტ-ამხანაგების ყურადღება მივაქციო ერთ მეტათ საჭირო და აუცილებელ საკითხს, რომლის ცხოვრებაში გატარება დაუფასებელ სამსახურს გაუწევს საქართველოს და მთელი კავკასიის მშრომელ ხალხს. ეს საკითხი არის ჩვენი პარტიის ძველი მასწავლებლების მთელი შრომის ერთათ თავის მოყრა და საჩქაროთ მათი გამოცემის საჭიროება.

ასეთი ნაბიჯი დიდი ხანია, რაც რუსეთის კომ. პარტიამ გადასდგა და ამხ. ლენინის და სხვა ჩვენი ბელადების მთელი ნაწარმოებნი მრავალ ტომებათ გამოსცა, რამაც შეძლება მისცა როგორც ძველ პარტწევრებს, ისე ჩვენი პარტიაში ახ- [illegible] ლოებით გაეცნობოდენ რუსეთის კომპარტიის ისტორიის იმ პირობებს, რომელშიაც მას უხდებოდა ათეულ წლების განმავლობაში ბრძოლა და მოქმედება. და თუ დიდი მნიშვნელობა აქვს ამხ. ლენინის მთელი შრომის გამოცემას რუსეთის მშრომელთათვის, არა ნაკლები მნიშვნელობა ექნება ჩვენთვის ამიერ-კავკასიის და საქართველოს კომპარტიის ბელადების შრომის ერთად გამოცემას. იმედი მაქვს, რომ ჩემი წერილი მხურვალე გამოძახილსა და თანაგრძნობას ჰპოვებს პარტიულ ამხანაგებში და მალე სიტყვა საქმედ იქცევა.

გ. ლაფანაშვილი.

პარტიული მუშაობა სენაკის მაზრაში მაისში.

ორგანიზაციული მუშაობა. სენაკის ორგანიზაციაში შედის 38 თემის ორგანიზაცია და ქ. ახ.-სენაკის ორგანიზაცია, რომელიც შესდგება 130 უჯრედისაგან. მაზრის პარტიული დაყოფა სრულიად შეეფერება ადმინისტრატიულს. შედგენილ იქნა ხარჯთაღრიცხვა ყველა იმ ხარჯებისა — რომლის გაწევა აუცილებელია პარტამხანაგებში წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციოთ. განზრახულია დამკვრელი წესით წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო მუშაობის, წარმოება. რათა ორგანიზაციაში არ დარჩეს არც ერთი წერა-კითხვის უცოდინარი. პარტუჯრედებში მეცადინეობა მიმდინარეობს წინა თვების ანგარიშებში ნაჩვენები წესით. კვირაში ერთხელ ხდება სხდომები, რომელზედაც ესწრებიან მომაგრებული ამხანაგები, რაიინსტრუქტორები და თემკომების მდივნები, რომელნიც ხელმძღვანელობენ ამ უჯრედების მუშაობას. კვირაში ან 15 დღეში ერთხელ ხდება საერთო კრება თემის მასშტაბით, სადაც სხვადასხვა მიმდინარე და ორგანიზაციული ხასიათის საკითხების შესახებ მოხსენებებს აკეთებენ რაიინსტრუქტორები.

საგიტ საპროპაგანდო მუშაობა წინა თვეებში გახსნილ წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლებში მეცადინეობა მიმდინარეობს ნორმალური ტემპით. მაისის თვეში ჩატარებულ კამპანიებს შორის აღსანიშნავია შემდეგი მნიშვნელოვანი კამპანიები: 1. 1 მაისის დღესასწაული — დღესასწაულის დღეს მაზრის ყველა თემებში მოეწყო მრავალი მიტინგები, საღამოს თითქმის ყველა თემებში, ზოგან კი ორ-სამ ადგილას დადგმულ იქნა რევოლიუციონური შინაარსის პიესები, ამ დღეს მთელმა მშრომელმა გლეხობამ შესწყვიტა მუშაობა და მიიღო მხურვალე მონაწილეობა დღესასწაულში—საერთოდ 1-ლი მაისი, როგორც საერთაშორისო მშრომელთა დღესასწაული მთელი თავისი შინაარსით მთელ მაზრაში ბრწყინვალედ იქნა ჩატარებული.

ლოზანაში ამხ. ვოროვსკის მოკვლისა დ ინგლისის მთავრობის თავხედური მემორანდუმის საპროტესტოთ, მაზრის მნიშვნელოვან პუნქტებში მოწყობილ იქნა დემონსტრაცია და მიტინგები, სადაც კეთდებოდა მოხსენებები და გამოჰქონდათ სათანადო რეზოლიუციები.

კოოპერაციის გასაძლიერებლათ ჩატარებულ კამპანიას ხალხი ძლიერ თანაგრძნობით შეხვდა, რასაც უნდა მოეწეროს იმ ათასეული ფუთი სიმინდის შეგროვება, რასაც ხალხი იძლის. კოოპერაციის ძირითადი საბრუნავი თანხის გასაძლიერებლად. ჩატარებულ იქნა აგრეთვე ტუბერკულიოზის სამდღეული, ბავშთა დღე, რომელიც მოეწყო 20 მაისს, შეგროვილ იქნა 88 მილიონი მ.; ოქროს მომგებიან სესხის შესახებ.

პრესის დღე და სხვა.

მაზრაში გამოდის კვირეული გაზეთი „კომმუნა“ რომლის ტირაჟი უდრის 500 ცალს.

ი.

ეკონომიური ცხოვრება

ვალუტის კურსი თბილისში.

(27 ივნისი)

ჩერვონცები	—13,450 ათასი.
გირვან. სტერ. ეფექტ.	—14,650 ათ.
„ ჩეკები	—12 850
დოლარები — ეფექტ.	—3.350
ჩეკები	—3.000
ოსმალ. ქაღალ. ლირა	—2.375
იტალიური ლირა —	— 115
ფრანგული ფრანკი ეფექტ.	170
საბჭ. ფულის ნიშნ. —	20 ნახ.

მუშკოპის ფასები

(27 ივნისი).

პურა თეთრი—60 ათასი, პური 2 ხარისხ.—45, ფქვილი თეთრი—100 ათ. საპონი როსტოვის—360, ლობიო ძველი—15—35, ბრინჯი აგდაშის—140 ათ. გირ., კარტოფილი ახალი—45 ათ. გირ.

საქართ. პარტიულ-საბჭოთა პრესის

ცენტრალურ კანტორისაგან

(ყოფ. გაზ. ტრესტი), **რუსთველის პროსპ. № 26.** ტელეფ. № 5—43.

ივლისის თვეში გაზეთ „კომუნისტ“-ზე დაწესებულია შემდეგი ფასები შინ მიტანით:

საერთო ხელის მოწერა . . .	1.800.000
კოლექტიური ხელის მოწერა მხოლოდ მუშებისათვის	1.300.000
ერთი ეგზემპლიარი	75.000
იქვე მიიღება ხელის მოწერა ორკვირეულ იუმორისტულ ჟურნალ „ნიანგ“-ზე თვიური ფასი შინ მიტანით . . .	500.000

ცენტრალური კანტორა სთხოვს ყველა ხელის მომწერლებს 1 ივლისამდის შემოიტანონ ხვედრი ფული, წინააღმდეგ შემთხვევაში გაზეთი ნისიათ არავის არ გაეგზავნება. 6—3

საქართველოს კომპარტიის ტფილისის კომიტეტი წინადადებას აძლევა, რომ პარასკევს, 29 ივნისს

ერთიან პარტიულ დღეს

დღის წესრიგში დასმული იქნეს საკითხი კომინტერნის აღმასკომის გაფართოებული პლენუმის შესახებ.

მასალებათ გამოყენებული იქნეს ამხ. ზინოვიევის სიტყვა, რომელიც დაბეჭდილი იყო „პრავდა“-ს 14 და 15 ივნისის ნომრებში.

ტფილისის კომიტეტის მდივნის მაგიერ: რუბენი.

განცხადება:

ყველა დაწესებულებათ და კერძო პირთ (გარდა სამხედრო უწყებისა), რომელთაც ჰყავთ სამგზავრო თუ საბარგო ავტომობილები და მოტოციკლეტები, ევალებათ დაუყოვნებლივ მიიღონ ტფილისის აღმასრულებელ კომიტეტიდან (ოთახი № 4) შესაფერისი ნომრები და მოწმობები თავისუფალ მიმოსვლის შესახებ.

იმ დაწესებულებათ და კერძო პირთ, რომელთაც რეგისტრაციაში ერთხელ უკვე გაუტარებიათ თავიანთი მანქანა და დროებითი მოწმობებიც მიუღიათ, ევალებათ უკან წარმოუდგინონ დროებითი მოწმობები და მიიღონ სათანადო ნომრები და მუდმივი მოწმობები.

რეგისტრაცია ჩატარდება შემდეგ ვადებში:

1, 2, 3, 4 კომისარიატი—27 ივნისიდან 5 ივლისამდე
5, 6, 7, 8 „ — 6 ივლისიდან 10 „
9, 10, 11, 12, 13 „ —11 „ 16 „

სარეგისტრაციოთ გამოცხადებულთ ნომრების მიღებისთანავე გადახდებათ, თანახმად აღმასკომის დადგენილებისა, მოწმობების და ნომრების დასამზადებელი ერთი მანეთი და სამოცდა ხუთი კაპ. ჩერვონც.

სრულიად გამოუდეგარი ავტომობილები და მოტოციკლეტები არ გატარდებიან რეგისტრაციაში და არც ნომრები გაიცემა მათზე.

მანქანათა პატრონთ, რომლებიც სარეგისტრაციოდ და მოწმობების მისაღებად დანიშნულ ვადაზე არ გამოცხადდებიან, გადახდებათ საურავი (პენი) ვადის გასვლიდან 10 დღის განმავლობაში შესატან თანხის 5 პროცენტის რაოდენობით.

ამ დაწესებულებათ და პირთ, რომელნიც რეგისტრაციაში არ იქნებიან გატარებული და უბილეთოდ და უმოწმობოდ მიმოსვლას განაგრძობენ, სრულიად აეკრძალებათ მიმოსვლა და პატრონნიც პასუხის გებაში იქნებიან მიცემულნი.

3—2 პრეზიდიუმი.

ბირჟის საქონლის განყოფილების მიწოდება.

(27 ივნისი).

ჩაი „ინდოეთის ვარდი“, მაკარონი და ვერმიშელი, საპნა სამარკანდის, კალა, ერბო, ყველი შვეიცარული, ჩაი ცეილონის, ქვავი, ხორბალი ყუბანის და კიურდამირის, მარილის სინდიკატის პროდუქცია, ცემენტი ნოვოროსიისკის, სრულიად რუსეთის ტყავეულობის სინდიკატის პროდუქცია, რეზინის ტრესტის ნაწარმოები, ქვამარილი ნახიჩევანის, ცელები ავსტრიის, წუმწუმა რუსეთის, ბრეზენტი, მანუფაქტურა რუსული.

ბირჟის საქონლის განყოფილების მოთხოვნილება.

(27 ივნისი).

რკინა, ულტრამარინი, სოდა, თუნუქი თეთრი ინგლ., საპნის სუროგატი, შაბიამანი ინგლის., ფეხსაცმელი მუშის ავსტრიული, ტყავი ნედლი, თოკი ძნის შესაკრავი, მავთული, მინა ფანჯრის, ქვამარილი ნახიჩევანის, გუდრონი.

ბირჟის გარიგებანი.

(27 ივნისი).

მარილი ევპატორიის 0,09363 ჩერვ. ფუთი ფრანკო—სად. ტფილისის, მარილი ბახმუტის დაფქული 0,1189 ჩერვ. ფუთი ფრანკო—გამყიდველის საწყობი, მარილი ბახმუტის ნატეხი—0,1093 ჩერვ. ფუთი ფრანკო სად. ტფილისი, ფქვილი ყუბანის 3,350,600 მან. ფუთი ამიერ-კავკასიის ფულის ნიშნებით, ფრანკო სადგური ტფილისი.

[illegible] ბაზრის [illegible]ლება.

(27 ივნისი).

ხორბლის და პურის პროდუქციის ფასები მტკიცეა, შაქრის ბაზარზე მტკიცეა, დანარჩენ ბაზარზე არავითარი ცვლილება.

ბამბის მთავარი კომიტეტის რეორგანიზაცია რუსეთში.

დამტკიცებულია ახალა დებულება ბამბის მთავარ კომიტეტის შესახებ, რომლის ამოცანას შეადგენს რესპუბლიკების კავშირის საზღვრებში ბამბის მოყვანის განვითარება, იმ სახელმწიფოებრივ ორგანოთა მოქმედების მოწესრიგება, რომელნიც ემსახურებიან ბამბის მოყვანის განვითარებას და ცხოვრებაში სხვა და სხვა ზომების გატარებას დაინტერესებულ კოოპერაციების და კერძო მწარმოებელთა ბამბის მოყვანის საქმეში ჩასაბმელად. კერძოთ ბამბის მთავარ კომიტეტის კომპეტენციაში შედის: ბამბის მოყვანის რაიონებში სამელიორაციო სპეცების გაუმჯობესება, ახალ ადგილების ირიგაცია, ბამბის მეურნეთათვის კრედიტის დაწესება, ბამბის მრეწველობის და ვაჭრობისათვის ფინანსიური დახმარების მიცემა, კოლექტივების, კოოპერატივების და ბამბის იმპორტ-ექსპორტის ორგანიზაცია, თესლის ნისიად მიწოდება, ბამბის სანიმუშო მეურნეობათა ორგანიზაცია და სხვა.

კოოპერაცია

ცეკავშ. რის მუშაობა მაისში.

1. საწარმოვო დარგი.

ამ დარგის მუშაობა მოკლეთ გამოიხატება შემდეგში:

1. აბრეშუმის საქსოვ ფაბრიკაში გაძლიერდა სუფთა აბრეშუმის ქსოვილების დამზადება. ამ ჟამად ამ საქმეზე მუშაობს 8 მექანიკური დაზგა, აქედან 6 აბრეშუმზე და 2 ბამბაზე. გამოწვეულია მოსკოვიდან სამი მუშა ქალი, რომლებიც (მოსკოვში) წინეთ მუშაობდენ ამ ფაბრიკაში. მქსოველთა კავშირის მიერ გამოგზავნილი ქალები, რომლებიც წინათ ხელის დაზგებზე მუშაობდენ, უკვე შეეჩვიენ მექანიკურ დაზგებზე მუშაობას, დამზადებული ქსოვილების (აბრეშუმის და ბამბის) პირველი ნაწილი, რაოდენობით 7.000 არშინ. ამ დღეებში გადაეცემა სავაჭრო დარგს. ფაბრიკას მომარაგებული აქვს საკმაო რაოდენობა სღებავებისა.

2. საკონსერვო ქარხნის ახალ ბინაზე გადატანა და მოწყობა უკვე დასრულდა. სწარმოებს მზადება სეზონისათვის. განზრახულია დამზადება 160,000 ნახევარ კილოიან კონსერვებისა, 500 ფუთი ვაშლის პასტილის, 10,000 ბოთლი ხილეულობის წვენისა (ყურძნის და ვაშლის) 7,500 ფ. სხვა და სხვა წნილისა. კონსერვებისათვის ახალი ზომის კოლოფების დამზადებით დიდი ეკონომია იქნა გაკეთებული თუნუქზე. ერთი და იმავე ზომის კოლოფებზე დაიხარჯა 1778 ფ. თუნუქი. ხარჯები მიმდინარე წლის ნავარაუდევია 141,845,480 მ. ჩერვ. შემოსავალი—153,875 მან.

3. კერამიკული ქარხანა მუშაობს ნორმალურათ. დაიდგა ახალი ღუმელი ბოკის სისტემის. სწარმოებს მუშაობა ფაიანსის ჭურჭლის დასამზადებლად.

4. სტამბა მუშაობს ნორმალურად.

5. ძეხვის ქარხანა განაგრძობდა სამზადისს მომავალ სეზონისათვის.

2. არა სავაჭრო დარგი (სეკრეტარიატი)

არა სავაჭრო განყოფილების მუშაობა საანგარიშო თვის განმავლობაში მიმართული იყო „ეპო“-ების დაარსების კამპანიისაკენ. სანამ კამპანიას დაიწყებდა ამხ. მ. ტოროშელიძე აცნობდა ინსტრუქტორებს თუ როგორ უნდა ემუშავნათ მაზრებში; ამის შემდეგ ყველა საუკეთესო ძალები დაგზავნილი იქნენ პროვინციაში ადგილობრივათ საორგანიზაციო მუშაობის გასაწევათ. საორგანიზაციო მუშაობა დაკავშირებულ იქნა კოოპერატიული სამკვირეულის ჩატარებასთან. შედეგები ამ მუშაობის შემდეგია:

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა აჭარისტანში

საბჭოთა ორგანოების ღონისძიებანი მაისის განმავლობაში

(საკუთარი კორესპონდენტისაგან).

სახალხო ჯანმრთელობა

ცნობილია, რომ აჭარისტანი ციებცხელებიანი მხარეა, ამიტომ ჯანმრთელობის კომისარიატის მთელი გულისყური მიპყრობილი იყო მალარიის საწინააღმდეგო ზომების მიღებისაკენ.

მალარიასთან ბრძოლის მიზნით, კომისარიატმა მიიღო ზომები ოლქში 4 სამალარიო სადგურის გასახსნელად.

შტატების საერთო შემოკლების მიუხედავათ აჭარისტანის ოთხ პუნქტში—ხულოში, ქედაში, გონიაში და ქობულეთში—საავადმყოფოები მაინც განაგრძობენ მუშაობას.

მაისის 12, 13 და 14-ს, თბილისიდან მიღებული ინსტრუქციების თანახმად, ბათომში მოეწყო ტუბერკულიოზის სამდღეული, რომელიც კარგად იქნა ჩატარებული. სამდღეულმა დასტოვა წმინდა შემოსავალი—573 171 000 მან., 83 ოსმალური ქაღ. ლირა და 800 მან. რ. ს. ფ. ს. რ. 22 წ. ნიშნებით.

ინტენსიურ და დამაკმაყოფილებელ მუშაობას აწარმოებდა დაზღვეულთა სამკურნალო ქვე-განყოფილება.

სახალხო და პოლიტიკური განათლება

მაისის განმავლობაში სახალხო და პოლიტგანათლების სფეროში გატარებულია შემდეგი: განათლების სახ. კომისარიატთან დაარსებული იქნა შემდეგი ქვე-განყოფილებანი და სექციები: საინსტრუქტორო სექცია, სამეცნიერო-პედაგოგიური სექცია, საშუალო და შკოლის გარეშე განათლების და ლიტერატურულ-სამხატვრო.

კომისარიატმა მოაწყო საჩვენებელი გამოფენა, საიდანაც სჩანს აღნიშნული უწყების მუშაობა საშუალო და შკოლის გარეშე აღზრდის სფეროში.

პოლიტ-განათლების სფეროში მიღებულია შემდეგი ზომები: ხულოში გაიხსნა კლუბი და სამკითხველო, ქედაში—კლუბი—სცენით და სამკითხველო; აჭარის წყალზე არსებული ქოხ-სამკითხველოს სისტემატიურად ეგზავნება ჟურნალ-გაზეთები და საპროპაგანდო ლიტერატურა.

გაიხსნა ქოხი—სამკითხველოები დოლოლანში და ერგეში.

მახინჯაურში მოწყობილი იქნა კლუბი და სამკითხველო. ქობულეთში და ჩაქვში გარდა კლუბებისა და სამკითხველოებისა მოეწყო წერა-კითხვის უცოდინართათვის სკოლები, რომელთაც ხელმძღვანელობენ კომკავშირის წევრები.

მიღებულია ზომები ოლქში წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციოთ.

ფინანსიური საკითხი

აჭარის საბჭოთა ხელისუფლების განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობდა ფინანსების საკითხის მოგვარება.

ადგილობრივ შემოსავალით აჭარის ფინანსიურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება შეუძლებელია; ამიტომ საჭირო იყო მტკიცე ხარჯთ-აღრიცხვის შედგენა და ადგილობრივ ფინანსიურ რესურსების გამორკვევა, რათა შესაძლებელი გამხდარიყო სათანადო თანხის გამოთხოვნა ცენტრიდან.

ხარჯთ-აღრიცხვის შედგენისას გამოირკვა, რომ აჭარას 1923 წლის ბიუჯეტის შესავსებათ ესაჭიროებოდა 184 992 582.000 მ.

ამიერ-კავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატის საბიუჯეტო სექციამ და საფინანსო კომიტეტმა, თანახმად ამ. კავ. ცაკის 1923 წლის 2 აპრილის დეკრეტისა, ზოგიერთი დაწესებულებანი მოხსნა სახელმწიფო ბიუჯეტიდან და დაამტკიცა მხოლოდ შემდეგნაირი ხარჯთ-აღრიცხვა:

1. თანამშრომელთა ჯამაგირებისათვის აპრილის განმავლობაში—17.120.000.000 მ.
2. თანამშრომელთა ჯამაგირებისათვის მაისის განმავლობაში—33.582.000.000 მ.
3. სხვა ხარჯებისათვის, გარდა ხელფასისა აპრილ-ივნისის თვეებში—40.638.000.000 მ.
4. დოტაციურ ფონდიდან იმ დაწესებულებათა შესანახად, რომლებიც ადგილობრივი საშუალებებით უნდა კმაყოფილდებოდენ—20.000.000.000 მან.

სულ—111.340.000.000 მან.

ამ ხარჯთ-აღრიცხვაში არ შედის სახელმწიფო საამშენებლო მთავარი სამმართველო.

ასეთ პირობებში აჭარის სახკომსაბჭოს ადგილობრივად უნდა გამოენახა დამატებითი შემოსავალის წყარო ბიუჯეტის შესავსებათ ამ მიმართულებით უკვე დაწყებულია მუშაობა, რასაც ხელი შეუწყო აგრეთვე ცენტრიდან საფინანსო კომისიის ჩამოსვლამ ამხ. სოლოვეიჩიკის მეთაურობით. სახკომსაბჭოს მიერ მიღებულია ზომები შემოსვლიანობის ინტენსიფიკაციისათვის; ხარჯების შემოკლების მიზნითვე მოხდა ზოგიერთ დაწესებულებათა შემცირება, ისე კი, რომ საერთო მუშაობა არ შეფერხებულიყო, ცენტრაღმასკომის პლენუმმა გააუქმა ფუხარა კომიტეტები, რომლებმაც თავის დროზე ისტორიული როლი შეასრულეს, ხოლო ამ ჟამად საჭიროებას არ წარმოადგენენ. ზემოაღნიშნულ მიზნითვე შემცირებულ იქმნა მაზრების რიცხვი ოლქში (5 ნაცვლად 3), რამაც გამოიწვია სათემო აღმასკომთა რიცხვის შემცირება (17 ნაცვლად 11).

გარდა ამ ზომებისა, მოხდა დაწესებულებათა შტატების კარდინალური შემცირება რამაც შემდეგნაირი შედეგი მოგვცა:

დაწესებულება	ირიცხებოდა თანამშრომ.	შტატის 1 შემცირება	შტატის 2 შემცირება	დარჩა
განათლების კომისარ.	570	75	43	452
ჯანმრთელობის „	344	96	60	188
შინაგ. საქმეთა „	626	64	125	437
მიწად-მოქმედების „	97	26	7	64
იუსტიციის „	75	14	11	50
კომუნალ. მეურნ. . .	938	133	160	645
ცაკი.	14	4	1	9
სახკომსაბჭო	37	—	7	30
სახელმ. საამშენებლო სამმართველო . .	32	—	7	25
მუზლეხნი . . .	14	3	3	8
ტრიბუნალი . . .	17	1	4	12
პოლიტგანათლება . .	43	24	4	15
სოც. უზრუნვ. კომისარ.	17	—	8	9
შრომის სახ. კომ. . .	19	2	5	12
სიმშ. შედეგ. მებრ. კ.	5	—	3	2
სტატ. ბიურო . . .	10	—	—	10
სასურსათო უწყება. .	16	6	—	10
ფინანსთა უწყება . .	6	—	—	6

როგორც სჩანს, შტატების ასეთმა შემცირებამ საგრძნობლად შემოკლა გასავალი და გაამარტივა სახელმწიფო აპარატი. გარდა აღნიშნულ ზომებისა, მიღებულია მთელი რიგი ნაბიჯებისა, რომლის მიზანია ფინანსიური კრიზისის შენელება და უდეფიციტო ბიუჯეტის შექმნა.

დასკვნა.

ამრიგად, საბჭოთა აღმშენებლობა აჭარისტანში ჩქარი ნაბიჯით მიდის წინ და დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ მომავალში იგი კიდევ უფრო გაცხოველდება და გაფართოვდება. ამისი თავდებია, როგორც საბჭოთა ორგანოების საქმიანი და ინტენსიური მუშაობა, ისე ფუხარა გლეხების აქტიური ინიციატივა და დახმარება.

ფუხარა ხალხის მტრების,—ბეგების, აღების და მენშევიკების პროვოკაციას სრულიად გამოეცალა აჭარისტანში ყოველგვარი ნიადაგი. ფუხარა ხალხი აშკარად ხედავენ, თუ როგორ და ვისთვის იღწვის საბჭოთა მუშურ-გლეხური მთავრობა; აჭარისტანის მშრომელი ხალხი მხარს უჭერს თავის ფუხარულ მთავრობას და მზად არის მკერდით დაიცვას მოპოებული უფლებები.

მარადიდელი.

ქ. ბათომი, 23 ივნისი.

ბათომი

ეკონომიური ქრონიკა.

ნოხები.

ამ. კავკ. სახელმწიფო ვაჭრობის ბათომის განყოფილებამ ბაქოდან მიიღო ნოხების დიდი პარტია, რომელიც უნდა გაიგზავნოს საზღვარ-გარეთ.

ზეთის გატანა.

21 ივნისს ჰამბურგში გემ „მიტილიუსით“ გაიგზავნა 267.387 ფუთი ზეთი.

მარილის მიღება.

ფირმა „არკოსმა“ ბაქოდან მიიღო 2000 ფუთი მარილი.

თხილის გატანა.

„ცენტროსოიუზმა“ რუსეთში გაგზავნა 1500 ფუთი თხილი.

მანუფაქტურის მიღება.

კომუნალური მეურნეობის განყოფილებამ მოსკოვიდან მიიღო მანუფაქტურის დიდი პარტია.

მანქანების მიღება.

მოხალისე ფლოტის ბათომის სააგენტოს მოუვიდა მანქანების და ტეხნიკური აპარატების ნაწილები აზნავთისა და ამ. კავ. სახელმწიფო ვაჭრობის განყოფილებისათვის.

მოხალისე ფლოტში.

ბათომში მოვიდა მოხალისე ფლოტის ცენტ. სამმართველოს გამგის მოადგილე ამხ. დიკანსკი, რომელსაც დავალებული აქვს გაეცნოს ამ. კავკასიის სააგენტოების მუშაობას და სპარსეთთან სავაჭრო კავშირის დაჭერა.

ქუთაისის რაიონი (რაიონში შედის ქუთაისის მაზრა სამტრედიის რაიონის გამოკლებით, რაჭა და ლეჩხუმი). დაარსდა თერთმეტი მთლიანი მომხმარებელი საზოგადოება შემდეგ ადგილებში: 1. ქუთაისში, (ქუთაისის მთლიან მომხ. საზ. შედის აგრეთვე ქუთაისის ახლო-მახლო მდებარე სოფლები) 2. სვირში, 3. მუხიანში, 4. ხონში, 5. ბაღდადში, 6. ზეინდარში, 7. წყალტუბოში, 8. ტყიბულში. 9. ხრესილში, 10. კურსებში და 11. ოზურგეთში. ქუთაისის რაიონში განზრახულია 17 საზოგადოების დაარსება. ამ სახით უნდა დაარსდეს კიდევ ოთხი საზოგადოება (ლეჩხუმის მაზრაში და ქვემო სვანეთში) სამტრედიის რაიონში დაარსდა 6 მთლიანი მომხ. საზ.: 1. სამტრედიაში, 2. ღანირ ჭაგანში 3. დიდჯიხაიშში, 4. მარანში, 5. ტობანიერში და 6. ვანში. ამავე დროს ამ რაიონში მომუშავე ძალების საშვალებით რეორგანიზაცია ეყო სამტრედიის სარაიონო კოოპკავშირს და გადაკეთებულ იქნა იგი ცეკავშირის განყოფილებათ.

ზესტაფონის მაზრაში მუშაობდა ოთხი ინსტრუქტორი: ორი ზესტაფონის რაიონში და ორი ჭიათურა—საჩხერის რაიონში. მოსულია ცნობები ზესტაფონის რაიონში გაწეული მუშაობის შესახებ. დაარსებულია 5 მთ. მომხ. საზ.: 1. ხარაგოულში, 2. შორაპანში, 3. ძირულაში, 4. ამაღლეთში და 5. მოლითში. დასრულებულია მუშაობა აგრეთვე ზესტაფონის რაიონის სხვა ადგილებშიც.

ოზურგეთის მაზრა. ამ მაზრის ზოგიერთ რაიონში მუშაობა მრავალ დუქნიან კოოპერატივების დაარსების გარშემო დიდი ხანია სწარმოებდა.

დაარსდა მთლიანი მომხ. საზ.: 1 ნაგომარში, 2 ჯუმათში, 3. [illegible]ში და 4. ოზურგეთში. ლანჩხუთში ლანჩხუთის სარაიონო კოოპკავშირი გაუქმებული იქნა და გადაკეთდა ერთ მთლიან მომხ. საზ.

აგრეთვე გაუქმებულია ჩოხატაურის და საჯავახოს კავშირები და მათ მაგიერ დაარსებულია ჩოხატაურის და საჯავახოს მთლიანი მომხ. საზოგადოებები. აგრეთვე დიდი მუშაობა იქნა გაწეული აჭარაში. მთელი აჭარა დაყოფილი იქნა ხუთ ეკონომიურ რაიონათ: 1. ბათომის, 2. ქობულეთის, 3. ხულოს, 4. ქედის და 5. აჭარის წყლის. ყველა ამ ადგილებში დაარსებულ იქნა მთლიანი მომხ. საზ-ბი.

ამ სახით დასავლეთ საქართველოში თითქმის ყოველგან მოთავებულია მუშაობა, გარდა სენაკის და ზუგდიდის მაზრისა.

რაც შეეხება აღმოსავლეთ საქართველოს, აქ მოთავებულია მუშაობა თელავის და სიღნაღის მაზრაში. მაისში დაარსდა 5 მთლ. მომხ. საზ. ბორჩალოს მაზრაში 1. სარვანში, 2. ლიუქსენბურგში, 3. აშაგა—სერალში, 4. სადახლოში და 5. შულავერში. დასაარსებელია კიდევ ამ მაზრაში ერთი „ეპო“—ბაშკიჩეთის რაიონში.

არა სავაჭრო დარგის სხვა განყოფილებები აწარმოებენ მუშაობას ნორმალურად.

ელ—რ.

სასოფლო მეურნეობა

მევენახეობა-მეღვინეობის ქვეგანყოფილების მოქმედება.

(მაისის თვის ანგარიში).

ალაიანის სანერგეში გაითოხნა ამერიკულ ვაზების ახალშენი, რომელსაც შეეკვეცა აგრეთვე ზედმეტი ყლორტები, ამავე დროს მიეკრა პირველად სარებზე. გაითოხნა და მოხდა წამლობა ვენახების 2 ნახ. დესეტინის სივრცეზე. გაითოხნა და წამალი ესხურა ახლად გაშენებულ სანერგეს, მეორედ უშუალოდ ბორდოს სითხით ხეხილებს სოკოების და სხვა მავნე მწერებისაგან დასაცავად. დაითესა აგრეთვე 10 გირვანქა გლედიჩის თესლი ახალ სანერგე მასალის მისაღებად, რაც დიდ საჭიროებას წარმოადგენს სანერგესათვის.

იყალთოს სანერგე ახალშენში დამზადებულია და დარგულია 30000 ცალი ამერიკული ნამყენი, დახნულია ძველი ნაყოფის მომტანი ვენახები, რომელიც აკრულ იქნა აგრეთვე სარებზე, მოხდა ვენახების ბორდოს სითხით სხურება და გოგირდით და იოდიუმით წამლობა.

სანერგეში ასწავლიდენ ამერიკულ ვაზის მყნობას და ამ საანგარიშო თვეში [illegible] დაასრულა 8 შეგირდმა ჩუმლაყის [illegible] დაირგა 73.000 დამყნილი ამერიკული ვაზი, ამათგან 48 ათასი დაირგა რიხტერის წესით (ორანჟერეებში) ნაყოფის-მომტან ვენახებს ეწამლათ ორჯერ, ერთჯერ ესხურა ბორდოს სითხე და მეორეჯერ შეეყარა გოგირდი. დამყნილი ვაზების ახალშენი სამჯერ იქნა ნაწამლი სოკოების წინააღმდეგ. სანაყოფო ვენახებს შეეკვეცა ზედმეტი ყლორტები, მიეკრა სარებზე და გამარგლა ამერიკულ ლერწის ამოსულ ყლორტებიდან, გაითოხნა მეორეჯერ ახლად დარგულ ამერიკული ვაზების ახალშენი.

მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატში.

გორის მაზრაში სეტყვისაგან მოხდენილ ზარალის გამოსარკვევად გამგზავრდა კომისია. სეტყვიდან დაზარალებული რაიონის სივრცეს უჭირავს საკმაოდ ფართო სივრცე—ქსნიდან ქსნის წყლამდე.

ბორჩალოს მაზრაში ივნისის უკანასკნელ რიცხვებში მოვიდა ძლიერი სეტყვა, რომლიდგან ძალიან დაზარალდა კოლონია ლიუქსემბურგის ვენახები. სეტყვამ განსაკუთრებით დააზარალა საპურე მცენარეები და კურკიანი ხეხილი, რადგანაც სეტყვამ სიმწიფის პერიოდში მოუსწრო.

—ცნობები სეტყვის შესახებ მიღებულია **ბელიკლიუჩის, მანგლისის და მარტყოფის** რაიონებიდან განსაკუთრებით უკანასკნელ სეტყვიდან დაზარალდა სართიჭალის რაიონი, სადაც მოსავლის 70 პროცენტი განადგურებულია.

სამეგრელოში.

უკანასკნელმა გვალვებმა ძალიან ავნეს ნათესებს, განსაკუთრებით საგვიანო ნათესის თესვა ჯერ-ჯერობით შეჩერებულია წვიმის მოსვლამდე. გვალვის რაიონი შეიცავს მთელს დაბლობს (რიონ - ენგურის ველებს) და მთის გორაკის ნაწილს. რაც შეეხება მთის რაიონს, აქ წვიმები საკმარისად მოდის.

სამეგრელოს მეჯოგეები. საზამთრო საბალახოებიდან უკვე გამგზავრენ მთის საზაფხულო საძოვრებზე (ასკში, ჭე-ღვალას, ლებარდეში და სხვაგან), მხოლოდ ის მეჯოგენი, რომელთაც სვანეთის მთებში აქვთ საძოვრები, იძულებული არიან საზამთრო საძოვრებზე აბალახონ ჯოგი, ვიდრე გაფუჭებული გზები შეკეთდებოდეს.

სენაკის მაზრაში. მსხვილ-ფეხა საქონელს მოედო ციმბირის ჭირი, რომელის ვრცელდება უმთავრესად მთაადგილებზე. მთელი ვეტერინალური პერსონალი ჭირის საწინააღმდეგო ბრძოლას აწარმოებს. დაბლობ ნაწილში უკანასკნელად გავრცელდა პირუტყვებში თურქული, მაგრამ ზომები მიღებულია და ახლო მომავალში ავადმყოფობა აუცილებლად ალიკვეთება.

ყარაიაზის ველი. ივნისის 17 ყარაიაზის ველზე იყო დიდი გრიგალი კოკისპირული წვიმით და სეტყვით. გრიგალი ისე ძლიერი იყო, რომ ზოგ შემთხვევაში ხეების შტოებსა ჰგლეჯდა. უმთავრესად დაშავდენ საპურე მცენარეები. რაც შეეხება სიმინდს, ბაჭბას, სოიას და სხვა კულტურას, ვნება არ მოსვლია, რადგან ნორჩი ნაკლებ ამოსული იყვნენ და წვრილმა სეტყვამ ვერაფერი დააკლო.

თესლეულობის ცენტრალურმა საწყობმა შეისყიდა და გაგზავნა ჩაქვის სახალხო მამულში 2500 ფ. თივა და აგრეთვე 560 ფუთი სალობავი ეკლიანი მავთული.

სატყეო განყოფილება. სატყეო განყოფილება, ტყეების დაცვის და თვალყურის დევნების გარდა, აწარმოებს ტყეების აღწერას, და მოწყობას, სტატისტიკას, ექსპლოატაციას და ბრძოლას მავნეებთან.

საცდელ საკულტურო დარგში უმთავრესი ყურადღება ექცევა გადაშენების გზაზე დამდგარ ელდახის ფიჭვის დაცვას და აგრეთვე ხეების ისეთი ჯიშების გამრავლებას, რომელთაც დიდი მნიშვნელობა აქვს საქართ. სატყეო მეურნეობისათვის. ამ მიზნით დაითესა ელდახის და რუსეთის ფიჭვის ნაძვები, აკაციები და სხვა. სწარმოებს მიმდინარე მუშაობა სატყეო სანერგეებში.

სატყეო სტატისტიკაში მუშაობენ საქართ. სატყეო მეურნეობის მდგომარეობის გამოსარკვევად. ამ მიზნით მოხდა ხეტყის აგარაკების დათვალიერება. კომისარიატ. მიერ შედგენილ პროგრამის მიხედვით დგება კარტოგრამები და დიაგრამები და გამომუშავებულია სათანადო პროგრამა მიწადმოქმედების სახ. კომ. სტატისტიკურ ბიუროსათვის.

ტყეების ექსპლოატაცია. უშუალოდ სატყეო განყოფილების მიერ არ სწარმოებს, არამედ საექსპლოატაციოთ ეძლევათ სახელმწიფო ორგანიზაციებს და დაწესებულებებს. უკვე შეკრულია პირობები მრავალ აგარაკის სატყეო მასალის დასამზადებლად. ტყის მავნეებთან ბრძოლა სწარმოებს უმთავრესად მავნეებთან ბრძოლის ბიუროს დახმარებით.. ამასწინად მთის—საკულტურო რაიონებში გაჩენილი მინდვრის თაგვები დაუნდობლად სპობდენ ახალ ამოსულ ნათესებს, მაგრამ მიღებულ ზომებით საფრთხე თავიდან იქნა აცილებული.

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო აღწერისათვის

ორი კვირის შემდეგ საქართველოში დაიწყება სასოფლო სამეურნეო აღწერა, რომლის ორგანიზაციაც მინდობილი აქვს ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს. ხელმძღვანელობა ევალება გ. გრიგორიანს. წინასწარი მოსამზადებელი მუშაობა უკვე დასრულებულია, შედგენილია, დამტკიცებულია და დასაბეჭდათ მიცემულია სასოფლო-სამეურნეო აღწერის—როგორც სამოსახლეო ბარათები (500 ათას ცალზე მეტი) ისე დამხმარე დამატებითი: დასახლების ბარათი, მეველეობის, მევენახეობის, ტეხნიკის ბარათები.

სამოსახლეო ბარათი შედგენილია დაწვრილებით და ჩვენ სინამდვილესთან შეფარდებით; ქართული სოფლის ყველა არსებითი დეტალები, ყველა ელემენტები, რომელთა ჯამი ჰქმნის ჩვენს სასოფლო მეურნეობას, შეტანილ საანკეტო ფურცელში. პასუხებისთვის კითხვებზე შერჩეულია 23 წელი, რომელიც უნდა გახდეს გამოსავალი და სახელმძღვანელო პუნქტი მიწერილ მასალების დამუშავების დროს.

ბარათების მთავარ რუბრიკების შინაარსს შეადგენს—მოსახლეობა (მამაკაცნი, დედაკაცნი, ჰასაკი, წერა-კითხვის ცოდნა და სხვა) მიწა (სახნავი, ტყე, სახილე ბაღი, ვენახი, კარმიდამო და სხვა) მეურნეობის წარმოების სისტემა, ნათესი (რაობა და რაოდენობა) მიწის გამოყენება, ბაღები, ვენახები, სასოფლო-სამეურნეო იარაღი (სახნისი, საკვეთი, გუთანი, ფარცხი, საცეხვი, ტრიერი, სეპარატორი საწნეხები, ურმები, პოვოზკები, ფურგუნები და სხვა) ცხენები, მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონელი, აქლემები, ვირები და სხვ. ფრინველების მოშენება, მეფუტკრეობა (სკების რაოდენობა, სისტემა) მეაბრეშუმეობა.

მუშაობაში მონაწილეობენ საქ. სამაზრო სტატისტიკის ბიუროები, აჭარისტანის და ოსეთის და აფხაზეთის სტატისტიკურ ცენტ. ბიურ. 25 ივნისს მოეწყო სტატ.-ბიუროების გამგეთა და მათ თანაშემწეთა თათბირი, რომელნიც გამოარკვევდენ და მოაგვარებენ ადგილობრივ აღრიცხვას, აღწერასთან დაკავშირებულ საკითხებს. თათბირი გამოიმუშავებდა აღწერის ერთგვარი სახით ჩატარების შესახებ საბოლოო დირექტივებს, ინსტრუქტორების მოსამზადებლად მოეწყობა სტატისტ. ცენტ. სამმართველოსთან მოკლე ვადიანი კურსები. ინსტრუქტორების კონტიგენტი შემდგარია სახელმწიფო, კომუნისტ. უნივერსიტეტებისა და პოლიტეხნიკუმის სტუდენტებისგან. მთელი საქართველო დაყოფილია 10 რაიონად ამავე დროს აჭარისტანი, სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი გამოყოფილია ცალკე რაიონებად. რაიონების რიცხვის მიხედვით დანიშნულია 10 რწმუნებული, განზრახულია 23 სამაზრო გამგის დანიშვნა. რეგისტრატორები, რომელთა რაოდენობა 600 უნდა იქნეს, მოიკრიბებიან ადგილობრივ, თუ პროვინციას რეგისტრატორი დააკლდა, გაიგზავნოს ცენტრიდან: დამზადებულია აღწერისათვის სპეციალურად სათემო ქარტები, სადაც ნაჩვენებია მოსახლეობის სიმჭიდროვე, ეს გააადვილებს რეგისტრატორების გაგზავნის საქმეს. აღწერა იწარმოებს სახელმწიფო ქართულ ენაზე სამხრეთ ოსეთის, აფხაზეთის და ბორჩალო-ახალქალაქის მაზრების გამოკლებით. ამ რაიონებში აღწერა მოხდება რუსულ ენაზე. ასეთია ორგანიზაციის სქემა.

ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო ყოველ ღონის ძიებას ხმარობს, რომ ამ აღწერის დროს მიაღწიოს მაქსიმალურ სასარგებლო ეფექტს, ხოლო ბეჭდვის ორგანოებს, განსაკუთრებით პროვინციელებს გლეხებს, დიდი გულისყური ჰპართებს ხელი შეუწყონ აღწერის წარმატებით დასრულებას. აუცილებელია აგრეთვე პარტ და პროფ-ორგანიზაციებმა, რომელთაც მჭიდრო კავშირი აქვთ სოფლელ მასასთან, მიიღონ აქტიური მონაწილეობა ამ საზოგადო საქმეში და მობილიზაცია მოახდინონ სოფლის ყველა კულტურული ძალებისა.

პროფკავშირებში

ქიმიკოსთა კავშირში.

ასანთის ქარხანა.

ქიმიკოსთა კავშირმა ივნისის თვეში განაახლა ასანთის ქარხანასთან კოლექტიური ხელშეკრულება.

კარლ მარქსის სახელობის ქარხანაში.

კარლ მარქსის სახელობის ქარხანას უკანასკნელ ხანს ეტყობა დიდი გამოცოცხლება. მრეწველობის საქმე ბევრნაირად გაუმჯობესდა.

კერამიული ქარხანა „ფაიანსი“.

კერამიული ქარხანა „ფაიანსი“ განზრახულია იჯარით გაიცეს. ჯერჯერობით მისი იჯარით გაცემის წესდება სავსებით არ არის შემუშავებული. უახლოეს მომავალში ქარხნისთვის გამომუშავდება კოლექტიურ ხელშეკრულების ახალი პირობები.

შრომის დაცვა.

პლენუმზე, რომელიც შესდგა ივნისის 23, ამხ არაქელოვმა გააკეთა მოხსენება კავშირის მუშაობის შესახებ შრომის დაცვის დარგში. კავშირი შეძლების დაგვარად ცდილობდა და ცდილობს უცვლელად გაატაროს ცხოვრებაში ყველა ის დადგენილებანი, რომელიც შეეხება შრომის დაცვას. იგი დიდ ყურადღებას აქცევს ამ სფეროში საბინაო საკითხს და სამკურნალო დახმარებას.

დასასვენებელი სახლები.

საქართველოს პროფსაბჭომ ქიმიკოსთა კავშირს მიმდინარე ზაფხულისთვის დასასვენებელ სახლებში დაუთმო 48 ადგილი მცხეთაში და 8 ადგილი წაღვერსა და ბორჯომში. მცხეთაში უკვე 13 წევრი გაიგზავნა დასასვენებლად.

სესხის მიცემა მუშებს.

სესხის მიცემის საკითხი მუშებისათვის გადაწყვეტილია დადებითად მუშათა უმრავლესობა შესდგება მუშკოპის წევრად. უახლოეს მომავალში სესხის მიცემა გატარდება ცხოვრებაში.

ქიმიკოსთა ორგანიზაცია ბათომში.

კავშირმა ამხ. ავეტისოვს დაავალა გაემგზავროს ბათომში და ბათომის და მის რაიონში მოაწყოს ქიმიკოსთა მრეწველობის ორგანიზაცია.

პროფკავშირების მესამე ყრილობის გამო.

ქიმიკოსთა კავშირმა დაადგინა მოაწყოს წარმოება დაწესებულებებში საერთო კრებები, რომელზედაც მუშებს გააცნობენ პროფკავშირების შემდგარ მესამე ყრილობის შედეგებს.

წერილი ლენინს.

ავჭალის შუშის ქარხნის მუშებმა ამხ. ლენინს გაუგზავნეს შემდეგი წერილი: **ძვირფასო ილიჩ! საქართველოს ქიმიურ მრეწველობის პროლეტარიატი, გიგზავნით რა ჩვენი კავშირის საჩუქრო წიგნაკს, როგორც უფროს ოსტატს შუშის მბერავს, გიგზავნით ჩვენ გულმხურვალე სალამს.**

შენი სული ჩვენ რიგებში იქნება როგორც გზის მაჩვენებელი ჩირაღდანი, რომელიც გაგვიყვანს სამეურნეო ფრონტზე გამარჯვების გზისაკენ.

ილიჩ, ჩვენ შენთან ვართ. გისურვებთ შენს ჯანმრთელობას. ნუ გახდები ავად, რადგან ამას მოითხოვს მსოფლიო პროლეტარიატი.

ჯამაგირს არ გიგზავნით, იმის მაგივრად მიიღე ჩვენ მიერ წერა-კითხვის ცოდნა.

აღმოსავლეთ საქართველოს რევტრიბუნალში

პროვიზორ ანტონოვის საქმე.

მედიკამენტების სისტემატიური ფალსიფიკაცია.

ბოროტმოქმედების შინაარსი.

1922 წ. 24 ოქტომბერს პირველი საავადმყოფოს ექიმმა ლორთქიფანიძემ აცნობა ქალაქის ჯანმრთელობის განყოფილებას, რომ ქინაქინის ხსნილები არ მოქმედებენ სათანადო სიძლიერით და ექიმებს უხდებათ მისი გადიდებული დოზებით მიცემა ავადმყოფისთვის. ქიმიურმა ლაბორატორიამ ქალაქის პირველ საავადმყოფოს რეცეპტში აღნიშნულ სამპროცენტიან ქინაქინის ხსნილში აღმოაჩინა მხოლოდ 0,46 გრამი ქინაქინა. და მეორე ნიმუშში ქინაქინის 50 გრამის ნაცვლად მხოლოდ 7,55 გრამი.

ექიმმა ვაწაძემ საგანგებოდ მიწვეულ კომისიის თანდასწრებით აღმოაჩინა აფთიაქების წიგნებში, რომ ქინაქინა 1922 წ. 1 იანვრიდან 24 ოქტომბრამდე შემოსავალში აღნიშნულია 19980 გრ. დახარჯული კი 22539 გრამი.

ქიმიკოს კუპცისის ანალიზით გამოირკვა ფალსიფიკაცია ქინაქინის გარდა სხვა მედიკამენტებშიც, როგორც მაგ. დიონინში, კოკაინში და სხვა.

გამოძიებიდან გამოირკვა რომ ქინაქინის ხსნილებს თვითონ აფთიაქის გამგე ანტონოვი აკეთებდა, თუმცა ეს მის მოვალეობაში არ შედიოდა. საწყობის გასაღები ანტონოვის ხელში იყო, კანტროლი აფთიაქზე არ არსებობდა. ექიმების ჩვენებიდან გამოირკვა, რომ ანტონოვის მიერ ქინაქინის ფალსიფიკაციის მიზეზით მრავალი ავადმყოფის მდგომარეობა გართულებულა, სიკვდილიანობის პროცენტი გადიდებულა, განსაკუთრებით მალიარიის ეპიდემიის გაძლიერების დროს 1922 წლის შემოდგომაზე. ანტონოვი რომელმაც თავი დამნაშავეთ არ იცნო დაპატიმრებულია 1922 წლის 5 დეკ. ბოროტმოქმედება ანტონოვისა გათვალისწინებულია ს. ს. კოდექსის 113 მუხლით. საქმე გაირჩა აღმოსავლეთ საქართველოს რევტრიბუნალში ა. წ. 23—26 ივნისში კაჭარავას, ვ. წივწივაძის და შამახიას შემადგენლობით, ბრალმდებელ მათიკაშვილის და გუბელაძის მონაწილეობით.

სასამართლოს განაჩენი.

სასამართლოში ნათელი სურათი გადაიშალა ბრალდებულის აღმაშფოთებელი ბოროტ-მოქმედებისა და ქალაქის პირველი საავადმყოფოს საექიმო პერსონალის დაუდევრობა.

ანტონოვს მიესაჯა უმაღლესი სასჯელი, დახვრეტა. საქართველოს ცენტრალურ აღმასკომის მიერ გამოცემულ 1922 წ. 7 ნოემბრის ამნისტიით დახვრეტა შეეცვალა 10 წლის დაპატიმრებით სასტიკი იზოლიაციის ქვეშ. და ს. ს. კოდექსის 53 და 59 მუხლის თანახმად სამუდამოდ აეკრძალა ფარმაცევტიულ დარგში მუშაობა.

საავადმყოფოს საექიმო პერსონალის პასუხისგებაში მიცემა.

რევტრიბუნალმა ამასთან ერთად დაადგინა პასუხისგებაში მიცემულ იქნენ ექიმი კონსტანტინე ლორთქიფანიძე, გიორგი მშველიძე, ვიქტორ მაიზელსი და ალექსანდრე კიზირია, ორდინატორები: გიორგი სარიბეგოვი, მიხეილ ხოჯაიანცი, სუსანა მარკოვა, ოლღა მირზაშვილისა, მაბედ ალიევი, მიხეილ ნემსაძე და მარიამ უგრელიძე.

ფერშლები: მელანია კახელიანისა, გრიგოლ ჩეკალენკო და ანნა მამონოვა, რომლებმაც გამოიჩინეს სამსახურის ასრულების დროს დაუდევრობა, რაც გამოიხატა იმაში, რომ ამჩნევდენ რა რამდენიმე თვის განმავლობაში ქინაქინის უმოქმედობას ავადმყოფთა ჯანმრთელობის გაუმჯობესებაზე და ქონდათ რა თითქმის თავიდანვე ეჭვი ქინაქინის ხსნილების კეთილ ღირსებაზე არ მიიღეს სათანადო ზომები ბოროტ-მოქმედების აღმოსაფხვრელად, რითაც მათ ხელი შეუწყვეს მალიარიის უკიდურეს გართულებას და სიკვდილიანობის პროცენტის გადიდებას.

ქრონიკა

ქალაქის აღმასკომში

— **გადასახადისაგან განთავისუფლების შესახებ.** აღმასკომის კომ. განყოფილებამ დაადგინა ეთხოვოს სოც. უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატს, კომ. განყ. ერთად გაარჩიოს საკითხი უმუშევრების, ინვალიდების და სხვა პირების, წყალის გადასახადისაგან განთავისუფლების შესახებ.

— **სტიპენდიის დანიშვნა.** აღმასკომის მცირე პრეზიდიუმის დადგენილებით აქ. ფალავას ღრ. სტუდიის ერთ-ერთ მოწაფეს და 1-ლ სახ. კონსერვატორიის მოწაფეს 1 ივნისიდან დაუნიშნა სუმბათაშვილი-იუჟინის სახელობის სტიპენდია.

— **წარწერები ქართულად.** წინადადება მიეცა სამმართველოს განყოფილებას მიიღოს სასწრაფო ზომები—რათა შეცვლილ იქნეს სავაჭროებზე და დაწესებულებებზე ისეთი წარწერები, რომლებიც არ შეეფერებიან ვაჭრობის ტიპს. ყველა სავაჭროების ძირითადი წარწერა უნდა ქონდეთ ქართულ ენაზე.

— **ცეცხლის მქრობელი აპარატების შეძენა.** შეძენილ იქნა ცეცხლის მქრობელი 50 აპარატი, რომლებიც დაიდგმება ქალაქის წარმოებებში და დაწესებულებებში.

განათლების კომისარიატში.

— **საბავშვო ბაღების გადაკეთება.** სასკოლო ჰასაკამდე აღზრდის განყოფილებამ დაადგინა ვინაიდან ზაფხულობით საბავშვო ბაღებში მოსიარულე რიცხვი მეტად მცირდება ზაფხულობით, 1-ლ ივლისიდან 1—5 ენკენისთვემდე მოაწყოს მხოლოდ რაიონული ბაღები.

— **საპედაგოგიო ინსტიტუტი.** სოც. აღზ. მთავარ-მმართველობის სასკოლო განყოფილებამ, შეადგინა კომისია საპედაგოგიო ინსტიტუტის პროგრამის გადასასინჯათ და შესავსებათ, პროგრამაში შეტანილი იქნება ის საგნები, რომლებიც საჭიროა სასკოლო ჰასაკამდე აღზრდის თანამშრომელთა მოსამზადებლად.

— **დახმარება.** განათ. კომ. არსებულ სახელმწიფო გამომცემლობას ა. კ. სახალხო კომისართა საბჭომ დახმარების სახით მისცა 2,387 ჩერვონეცი.

ჯანმრთელობის კომისარიატში.

— **შემოწირულება.** დედებისა და ძუძუმწოვარა ბავშვების დამხმარე განყოფილებას, მანგლისში მცხოვრებმა გლეხმა შესწირა 3,100,000 მან.

— **ექიმების რაოდენობა.** უკანასკნელ აღწერის მიხედვით ამ ჟამათ ტფილისში ითვლება 705 ექიმი, კბილის ექიმი 278, ფარმაცევტი 455, ბებია ქალი 375, ექიმის თანაშემწე 258, მოწყალების და 197.

— **სასანიტარო განყოფილების სახლი.** ახლო მომავალში ჯანმრთელობის კომისარიატი ხსნის სანიტარულ განათლების სახლს 250 კაცისათვის.

დამზღვევ კასაში.

— **ტაბახმელას აფთიაქი.** დამზღვევ კასის პრეზიდიუმმა წინადადება მისცა დაზღვეულების დახმარების საექიმო ქვე-განყოფილებას, ტაბახმელაში მოაწყოს პატარა აფთიაქი ადგილობრივი მუშებისათვის—სასწრაფო დახმარების აღმოსაჩენად.

— **დამზღვევი კასის განყოფილება.** ტფილისის დამზღვევი კასის გამგეობამ კოჯორში გახსნა დამზღვევი პუნქტი 1 ივნისიდან.

შრომის ბირჟა.

— უმუშევრები. 26 ივნისს აღრიცხვაზე გამოცხადდა 509, აქედან კაცი 320, ქალი 189, ჩაეწერენ ახალი უმუშევრები 139. ამავე დღეს სამუშაოზე გაიგზავნენ 50 უმუშევარი.

— აღმშენებელი მუშების განმანაწილებელი პუნქტები. შრომის ბირჟის დადგენილებით: ვერის რაიონში ჩუღურეთის და ავლაბრის რაიონებში დაარსდა აღმშენებლობითი მუშების განმანაწილებელი პუნქტები. სახლის მეპატრონეებს და მოიჯარადრეებს ეკრძალებათ აღნიშნულ პუნქტების გარეშე მუშებისათვის სამუშაოს მიცემა.

პოემიდან

ქალაქის სიმძიმე

ქალაქი ცივი და მჭვარტლიანი
თუჯის მილები კვამლით იცინის,
გრიალი ჩქარი რიტმი მთლიანი
ღლავს სამეფო თუჯის და რკინის.

შფოთვა და გრგვინვა გულშემზარავი,
გოგირდით სუნთქვა მწვავე, ცხოველი,
მძიმე ნაბიჯით დადის არაქინ
ათქვირებული ბრუნავს ყოველი.

დიდრონ მანქანებს თან ეტანება
ელექტრო ძალა რკინის მწურავი..
— მითხარით აქ ვის დაენანება
ფოლადის ძმებს, რომ შესწიროს თავი?

დაუშრეტელი მოდის ვნებები
და აქ გროვდება მისი კრებული,
სდუღს შადრევანის ანაშხეფები
და ძარღვში სისხლი მომედგრებული.

ჰოი, ქალაქო! რამდენჯერ ვფიქრობ
მოვიდე შენთან ცხოვრების ურჩი,
მაგრამ ამ სურვილს გულშივე მიქრობ
მე, შენს მკვეთრ ტალღებს ვერ გადაურჩი.

ალბად დავიმარხავ ზვირთთა დუდუნში
ჩემს სიყმაწვილის სურვილებს ულევს,
დამარქმევ იმას რაც გძულდა გუშინ
მე, შენ მოკეთეს, შენ ერთგულებს!..

იონა ვაკელი.

ხელოვნება

ბესო მაისურაძის საიუბილეო ზეიმი რუსთაველის თეატრში.

1923 წ. 28 ივნისს მოხდა ის, რაც დღევანდლამდე არ მომხდარა ჩვენში.

ამ დღეს გამოფხიზლებულ მუშათა კლასმა შესძლო ის, რაც ჩვენში უწინ ძველ რეჟიმის დროს, წარმოუდგენელი იყო. მე ვლაპარაკობ მუშა-მსახიობ ბესო მაისურაძის 30 წლის სასცენო მოღვაწეობის აღსანიშნავად მუშების მიერ გამართულ იუბილეს შესახებ. მე სიტყვები ვერ მიპოვნია იმ აღფრთოვანების გამოსახატავად, რასაც ჰქონდა ადგილი ამ დღეს რუსთაველის თეატრში.

საღამოს 7 საათზე უკვე დიდი ძალ ხალხს მოეყარა თავი თეატრის წინ. უმეტეს ნაწილს ბილეთები ვერ ეშოვნათ, და თეატრში შესვლა შეუძლებელი იყო. კერძოდ ჩემთვისაც, თუ იუბილიარს არა ვხლებოდი გვერდზე.

თეატრის დარბაზი გაჭედილი იყო ხალხით. საღამოს 8 ნახ. საათზე სცენაზე გამოჩნდა საიუბილეო კომიტეტის ერთი წევრთაგანი, თომა ნასიძე, რომელმაც მოკლედ გააცნო საზოგადოებას ამ „დიდებულ დღესასწაულის“ მიზეზი და მნიშვნელობა, რის გამოც დაჯილდოვებული იქნა საერთო ტაშით. ამის შემდეგ ფარდა აიხადა და ჩვენ თვალწინ წარმოგვიდგა ძველი ისტორიულ საპატიმრო, სადაც იატაკზე, მოფენილ გამხმარ თივაზე ჯაჭვებით ხელფეხ შებორკილი, ღრმად მოხუცი ელიზბარ ერისთავი იყო წამოწოლილი. ეს პატიმარი თვით იუბილიარი ბესო მაისურაძე იყო. თამაშობდენ ისტორიულ დრამას „**თამარ ბატონიშვილს**“. აქ იუბილიარმა შეძლებისდაგვარად პირნათლად შეასრულა დაკისრებული როლი. მეორე აქტად დაიდგა ავქსენტ ცაგარელის პიესა „ხანუმა“, სადაც მონაწილეობას იღებდა ჩვენი სცენის სიამაყე და ხელოვნების ქურუმი ვასო აბაშიძე. თვით „**ხანუმას**“ როლს ასრულებდა იუბილიარი ბესო მაისურაძე. იუბილიარმა არა თუ იმიტომ მოჰკიდა ხელი დედაკაცის როლს, რომ ის საუცხოვოდ დაასურათხატებდა „ხანუმას“ ზნე და ხასიათს, არამედ იმიტომ, რომ ის (ბესო) ამ ოცდა ათი წლის განმავლობაში არა ერთხელ გამოსულა ამ როლში, რადგანაც იმ დროს ქალების შოვნა მუშათა სცენისათვის შეუძლებელი იყო. მესამე მოქმედებად უნდა ყოფილიყო ვოდევილი „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“. მაგრამ ეს პიესა არ წავიდა, რადგანაც პიესის წიგნი ვიღაც სულმდაბალ ინტრიგანმა სცენიდან გააქრო, ალბად იმ მოსაზრებით, რომ მუშის იუბილეისათვის როგორმე ხელი შეეშალა და საზოგადოება უკმაყოფილოდ დაბრუნებულიყო. მაგრამ ამით თავის მიზანს ვერ მიაღწია იმ ნაძირალა ადამიანმა და საზოგადოება მადლიერი დარჩა და ყველანი სიამოვნებით მოელოდნენ ფარდის ახდას. ცოტა ხნის შემდეგ ფარდაც აიხადა და საუცხოვო სურათი გადაიშალა თვალწინ მუშათა საზოგადოებას.

სცენის პირველ „პლანზე“ მარჯვნივ, ნახევრკაიმურად ისხდნენ საიუბილეო კომიტეტის წევრები და მათ შორის კომიტეტის საპატიო თავმჯდომარე. ამხ. გ. ყურულაშვილი. მათ უკან რამოდენიმე წყებად ისხდნენ სხვა და სხვა დაწესებულების წარმომადგენელნი პირდაპირ სცენის სიღრმეში. აქვე იდგა ბავშთაგან შედგენილი მომღერალთა გუნდი ხატიაშვილის ლოტბარობით და მათ გვერდზე მოწაფეთა გუნდი ეროვნულ ტანისამოსში ალექსანდრე მაისურაძის ლოტბარობით. ამათ წინ, მარცხნივ ნახარს, ამართული იყო იუბილიარის მომზადებული ტრიბუნა, რომლის ზურგს უკანაც ჩამწკრივებულნი იდგნენ ავლაბრის სცენის მოყვარეთა დასი და სხვა წარმომადგენელნი. მუსიკამ ინტერნაციონალი დაუკრა და ფარდა აიხადა...

ვიდრე იუბილიარი გამოჩნდებოდა სცენაზე ბავშვთა და მოწაფეთა გუნდმა „მრავალ-ჟამიერი“ იმღერეს. იუბილიარი გამოიყვანეს მისმა ძველმა თანამშრომელ ამხანაგებმა თომა ნასიძემ, იოსებ იმედაშვილმა, სანდრო ბაჟიაშვილმა, რომანოზ სალაყაიამ, გიორგი ჯაბაურმა, ლიზა ვაშაკიძემ, ვარო ბეგიჯანოვმა, დათიკო მელაშვილმა და გულაზიანმა. მათი გამოსვლამ არა-ჩვეულებრივი აღტაცება გამოიწვია საზოგადოებაში და როგორც სცენაზე, ისე მთელ დარბაზში ხანგრძლივი ტაშის ცემა არ შეჩერებულა, თითქოს ხალხი გრძნობდა რაღაც არა-ჩვეულებრივ მოვლენას ცხოვრებაში. ისინი თავიანთ თვალებს არ უჯერებდნენ, რომ ეს დიდებული ზეიმი ეკუთვნოდა ვინმე მუშა მსახიობს. ეს ასეც უნდა მომხდარიყო, რადგანაც, მართლაც, ჩვენს ცხოვრებაში ეს პირველი მაგალითი იყო, რომ მუშისათვის ასეთი დიდებული ზეიმი გადაეხადნათ. იუბილიარს პირველი სიტყვა ამხ. ნასიძემ უთხრა და მიულოცა მას დაფნის გვირგვინი და დიდი სურათებიანი ვეფხვის ტყაოსანი, შემდეგ სიტყვა სთქვა იმედაშვილმა შემდეგ სანდრო ეულმა სახალხო კომისართა საბჭოს და განათლების კომისარიატის სახელით მიულოცა **ფულად 500 მილიონი მან.** შემდეგ სიტყვები წარმოსთქვეს ზაქარია ჭიჭინაძემ, დათიკო მელაშვილმა ბეჭდვითი საქმის კავშირიდან, „მარტკოფის“ რედაქციის წარმომადგენელმა ათოევამ (საბჭოთა მუშათა კავშირის სახელით) სულთანის შვილმა (ავჭალის წყალსადენის მუშათა კლუბიდან). ამავე წყალსადენის მუშების სახელით ვარნაზოვმა მიართვა იუბილიარს კალათა ყვავილებით სავსე და სხვა და სხვა საჩუქრები და სავსე ღვინით ტიკი შემდეგ. გაზ. „**კომუნისტი**“-ს მუშკორმა ამხ. ხეჩუაშვილმა ამხ. ბესოს უძღვნა თავისი ლექსი ალბომით, და ვარდის თაიგული. მას

მუშათა ცხოვრება

მისაბაძი მაგალითი

მუშების კულტ-შეფობა სოფლებზე.

მეტყევეთა კავშირის 2 რაიონის უპარტიო და პარტიულ მუშებმა საკუთარ ხარჯზე აიღეს შეფობა გორის მაზრის „ატენის" თემზე, რომელიც აერთიანებს 30 პატარა სოფელს. სოფლისათვის გამოწერილია სხვა და სხვა ქართული ჟურნალ-გაზეთები.

ამავე მუშების მიერ არის ზომები მიღებული დასახელებულ თემში გაიხსნას წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლა.

სკოლის გახსნასთან დაკავშირებულ ხარჯებს კისრულობენ თვით მუშები.

შეფობაზე აყვანილ თემისათვის მუშებმა შეიძინეს რამოდენიმე ფუთი შაბიამანი, რომელიც უკვე გაიგზავნა.

მუშკორი ჩხმელი.

ლოთობა უნდა მოვსპოთ მუშებში

ამხ. ჩოდრიშვილის სახელობის კლუბის ახლოს, ტრამვაის ცდის დროს, მე დავაკვირდი ლოთობის ერთს სურათს „ბახმარო" და „ხრიზანტემა" რესტორანებში, მიხეილის ქუჩაზედ № 196—ეს იყო კვირას საღამოს 6 საათზედ ერთი ჯგუფი მუშებისა გალეშილი სახის გამომეტყველებით, ნამუშევარ შავი ხელებით, დუქნის დაზგის წინ დამდგარი მიირთმევდა კახურ ღვინოს თვით რესტორანებიდან კი გამოისმოდა ყიჟინი, დაუშვებელი ლანძღვა-გინება დამთვრალთა სიმღერები და სხვა.

ნუ თუ ამაში გამოიხატება მუშის კვირეული დასვენება?! გულ ატკიებული, ჩაფიქრდები იმის გამო რომ მათი ოფლით ნაშოვნი კაპეიკი მის მაგივრად, რომ ოჯახის სასარგებლოდ მიდიოდეს, მიდის „მუცელგასივებულ" მედუქნის ჯიბეში, ყოვლად დაუშვებელია ეს მოვლენა. მუშებს უნდა მიეცეთ ისეთი ადგილები, სადაც რიგიანად და წესიერად გაატარებენ ისინი თვის დასასვენებელ დღეს. ამ მიზნით „წითელ-ტრაქტირების" გახსნა მოწყობა, აუცილებელს საჭიროებას წარმოადგენს.

აი, ერთ-ერთი საშუალება, რომელიც ხელს შეუწყობს მუშათა წრეებში დაბუდებული სენის ლოთობის მოსპობას.

მუშკორი როტინოვი.

ცენტრალურ საქ. რკინიგზის სასწავლებელში

მიმდინარე წლის 8 ივნისს მე მიმიწვია ზემო ხსენებულ სასწავლებლის გამგემ ამხ. ონანიანცმა თვით მოძრავი მანქანების მემანქანედ. მანქანების დათვალიერების შემდეგ მე, როგორც შრომის მოყვარე, დამაინტერესა ახალგაზრდების შრომამ და მე ვთხოვე ამხ. ონანიანცს, რომ მას ჩემთვის ეჩვენებინა წარმოების ყოველივე ნაწილები, რომელიც არსებობს ზემო ხსენებულ სასწავლებელში, ჩემი თხოვნა დაუხარებლად იქნა შესრულებული და როდესაც დავინახე ახალ გაზრდა მუშების შრომა, სიხარულით თვალებზე ცრემლები მომადგა და მათი ცქერით ოცნებამ გამიტაცა. შრომა დუღდა: მშრომელებს ნიაღვარივით ოფლი სდიოდათ; ქურა მოუსვენრად უბერავდა. ჩაქუჩები რახუნობდა. ქლიბები ელვის სისწრაფით მოძრაობდა. შალაშინები ხეებს წარმოუდგენელ სისწრაფით ასუფთავებდა. აქვე მუშებისთვის სადილი მზადდებოდა და ყოველივე ამას ახალგაზრდები აწარმოებდნენ. ახალგაზრდების შრომა მომავალ იმედებს გვიორკეცებდა. თუ ხელმძღვანელები თავთავიანთ ცოდნას არ გადასცემენ მოწაფეებს, თვით მოწაფეები ვერას შეისწავლიან, მაგრამ ჩვენ აქ ვხედავთ, რომ ზემოხსენებულ სასწავლებლის ხელმძღვანელები დიდს ენერგიას ხარჯავენ მომავალ ხელოსნებისთვის და იმედია, რომ ხსენებული ხელმძღვანელები შემდეგშიც არ დაზოგავენ თავიანთ ცოდნას მომავალ თაობის აღზრდისათვის.

გაუმარჯოს ახალგაზრდა ხელოსნებს და მათ ხელმძღვანელებს!

მუშკორ. გ. მ—შვილი.

მუშათა ცენტრალურ კლუბში

თბილისში არსებობს აღმოსავლეთის ორი სამუსიკო სტუდია,—ერთი სახელმწიფო სამუსიკოსასწავლებელში მეორე—მუშათა ცენტრალურ კლუბში. ორივეს ხელმძღვანელია ნერსეს ყორღანოვი, რომელიც თარის დაკვრის ნამდვილი ვირტუოზია. მუშათა კლუბში ამ სტუდიაში ჩაწერილია ასზე მეტი მოწაფე, რომელთა შორის მუშები და წითელი არმიელები არიან. ესენი 3 ან 4 თვეში სამაგალითოდ სწავლობენ თარის, ჭიანურის დაკვრას. მუშათა კლუბში ხშირად იმართება ნერსეს ყორღანოვის ხელმძღვანელობით სტუდიელების აღმოსავლეთის მუსიკის კონცერტი. 30 კაცი და ქალი საერთოდ უკრავს თარს, ჭიანურს, დაირას და მსმენელთა ყურადღება სრულ ესთეტიურ გრძნობითა სტკბება. უწინ თუ მუშათა კლუბი „პრიტონი" იყო ბურჟუამოთამაშეთათვის, ეხლა იქ ყველა მუშა თავის სასურველ ჰანგით და გრძნობით კმაყოფილდება. აღმოსავლეთის სამუსიკო კურსებს ის პრაქტიკული მნიშვნელობაც აქვს, რომ თუ წინად მუშა თავის ოჯახში სამხიარულო დროს ქუჩის „მატანტალა აშუღებს" ეძახდა, რადგან საზანდრის ფული მუშას არ ექნებოდა, ეხლა თავის ოჯახში, თვითონ შეუძლიან დაუკრას და თავის თავიც, სტუმრებიც თვითონვე გაამხიარულოს. სწავლა ამ კურსებზე სრულიად უფასოა, მაგრამ ქართველ სტუდიელთა რიცხვი კი მცირეა. საჭიროა, გაეცნონ ყველა წარმოების მუშებს აღმოსავლეთის მუსიკის შესწავლის მნიშვნელობა, მაშინ ქართველი მუშებიც ბევრი იქნებიან და მეტი სარგებლობაც ექნება ამ სტუდიას მუშათა ცენტრალურ კლუბში.

მუშკორი გ. ჩარხიშვილი.

წყალსადენის მუშებში

ა. | წ. 16 ივნისს, ამხ. ფირიაშვილის თავმჯდომარეობით აქ შესდგა კრება. კრებაზე მოხსენება გააკეთა ამხ. ფირიაშვილმა კოჯორში არსებულ ბავშვთა დასასვენებელ სახლის შესახებ. ამხ ფირიაშვილი აღნიშნავდა, რომ მშვენიერ ბუნებით შემკობილ საგარაკო ადგილებში დასასვენებლად უწინ მეფის დროს ზაფხულში მიდიოდნენ, ლიპიანი ბურჟუები, დღეს კი, საბჭოთა ხელისუფლების დროს იქ ულარიბესი მუშის შვილები იგზავნებიან, მაგრამ ამ სახლებს ამ ჟამად შეკეთება სჭირდებათ, რისთვისაც საჭიროა ერთგვარი სახსარი. ამხ. ფირიაშვილის მოხსენების გამო, საზოგადო კრებამ გამოიტანა დადგენილება—შეწირულ იქნას აღნიშნულ სახლებისათვის ნახევარ დღის ხელფასი.

შემდეგ მოხსენებას აკეთებს ამხ. ლადო სუხიშვილი საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ. ის დაწვრილებით თავისი მუშური, გასაგები ენით აღნიშნავს იმას, რომ დასავლეთ ევროპაში, კაპიტალისტურ ქვეყნებში, არის დიდი ეკონომიური კრიზისი, ნედლი მასალის უქონლობის გამო და სხვა.

შემდეგ ამხ. სუხიშვილი შეეხო რუსეთის მდგომარეობას და აღნიშნა, რომ საბჭოთა რუსეთში წარმოება თანდათან ვითარდება და შრომის ნაყოფიერობაც იზრდება და საბჭოთა ხელისუფლება მტკიცედ სდგას თავის სადარაჯოზე.

მოხსენების შემდეგ ამხ. გუსოვის წინადადებით გამოტანილი იქნა შესაფერისი რეზოლუცია.

მუშა—ნ. ფირიაშვილი.

მუშათა ქრონიკა

— **წითელ ფლოტის სასარგებლოდ.** ტფილისის სახელმწიფო ღვინის საწყობის მუშებმა წითელ ფლოტის სასარგებლოდ გადასდვეს ერთი დღის შრომის ხელფასი.

— **ბლექთან მებრძოლ ორგანიზაციისათვის.** ამავე მუშებმა დღიური ხელფასი შესწირეს ბლექის საწინააღმდეგო ბრძოლის ორგანიზაციას.

— **ღირსეული ჯილდო მუშებისათვის.** ამავე საწყობის მუშათა შორის კარგა ხანია დასრულდა წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია. მათ დაამთავრეს პირველი საფეხურის სკოლაც, რისთვისაც მიიღეს სათანადო ჯილდო.

— **უმუშევართა დახმარება.** შრომის ბირჟის დამხმარე სექციის გამგეს მიენდო მოიწვიოს კომისია მეურავეთა, მეტყევეთა და მქსოველთა კავშირების წარმომადგენელთაგან, რომელთა წევრებს თავიანთ პროფესიის მიხედვით შეუძლიათ ქონდეთ კერძო შემოსავალი, იმ მიზნით, რომ გამორკვეულ იქნეს რამდენად შესაძლებელია უმუშევრობის დროს მათი დახმარება.

— **ექსკურსია.** ქართულ „მუშფაკი" უკვე შეუდგა მზადებას ზაფხულში სამეცნიერო ხასიათის მოგზაურობის მოსაწყობად ბაქოსა და მის რაიონებში დათვალიერების მიზნით.

— **ქართულ მუშათა ფაკულტეტზე.** მომავალ სასწავლო წელს მუშფაკზე მიიღება 850 მსმენელი. ადგილები განაწილებულია პარტორგანიზაციებსა, კავშირებსა და სოფლელ მუშებს შორის.

— **მუშათა ცენტრალური კლუბი.** საზაფხულო შენობის და ბაღის მოწყობის გამო, ამ დღეებში დაიკეტა საზამთრო შენობა და მთელი საკლუბო მუშაობა გადაიტანება საზაფხულო შენობაში.

შემდეგ სიტყვებით და ლექსებით ესალმებიან მას „კომუნისტის" მუშკორები გიორგი ჯაბური, გიორგი—შინატხელი და შაქრო ნათლუღელი. მესამე რაიონის სახელით იუბილიარს ესალმება არაქელოვი და ავლაბრის წრიდან კულულაშვილი, კომუნისტური პარტიის „ცეკას" სახელით ამხ. კვირიკაძე, ამხ. გიგოშვილმა 5 მილიონი და სოფელ ყანდაურაში მამული ბაღით შესთავაზა იუბილიარს, თუ იქ აშენდება მაისურაძეს სახელზე სახალხო თეატრი. „ცეკავშირის" სახელით ამხ. ბაგრატ მიკირტუმოვმა შესწირა 25 მილიონი მან. საბჭოთა თანამშრომელთა კავშირიდან—50 მილ. ვასილ კერვალიძემ უთხრა სიტყვა და ფულიც მიულოცა. იყო კიდევ სხვისაგან შემოწირულებიც 300 მილ. 200 მილ. 100 მილ. 4 მილ. 400,000 ათ. და 41 მილ. 500,000 ათ. დასასრულ ამხ. ყურულაშვილმა შესანიშნავი სიტყვა უთხრა და ზეიმი დაიხურა.

მუშა ხანდრო ბაჯიაშვილი.

— **კონცერტი.** საქართველოს პროფკავშირთა საბჭოსთან არსებული შერეული მომღერალთა გუნდი მართავს დღეს დიდ კონცერტს ცენტრალურ მუშათა კლუბში (პლეხანოვის ქ.) შესრულებული იქნება ქართულ და რუსულ ენებზე, სახალხო და რევოლიუციონური სიმღერები.

— **დახმარება მოსე თოიძის სამხატვრო სტუდიას.** ქალაქის აღმასკომის დადგენილებით პროფ. მოსე თოიძის სამხატვრო სტუდიას 1 ივნისიდან განუახლდა დახმარება 30 მანეთი ოქროთი.

— **კონსერვატორიის პროფესორების მივლინება საზღვარ-გარეთ.** მთავარ-სახელოვნო კომიტეტმა ნება დართო 1-ლ სახ. კონსერვატორიის დირექციას, მიავლინოს საზღვარ-გარეთ პროფ. ა ჯაყელი, მასწავლებლები: ლ. სიჩუგოვისა და ა. ჩუგუნოვი ევროპის კონსერვატორიის მუსიკის სწავლების საქმესთან გასაცნობათ.

სურათი

ჩემს წინ მიდიოდა ის. ორივე მხრებით ყავარჯნებზე ეყრდნობოდა. მარჯვენა ფეხი მოჭრილი ჰქონდა. მიდიოდა ნელა, მთელი ტანის რხევით და რადგანაც აღმართი ჰქონდა ასასვლელი, მალ-მალ ისვენებდა. ალექსანდრეს—ბაღთან, სადაც „დამშეულთა დამხმარე კომიტეტის" სახლი არის, იქ შეჩერდა, მიიხედ მოიხედა, სახლის წინ წარწერა შეამჩნია, დააკვირდა და შემდეგ ქვის საფეხურზე ჩამოჯდა ქუჩის პირას. ამ დროს მეც გავუსწორდი და ახალგაზრდა, სიმპატიურ შავგრემან სახეს რო შევხედე, შევჩერდი მის წინ... მეტად დამენანა...

— „თქვენ დასასვენებლათ ჩამოჯექით თუ აქ (სახლზე ვანიშნე) რაიმე საქმე გაქვთ?" ვკითხე მე.

— „დიახ, მე აქ საქმე მაქვს, მიპასუხა მან, ვგონებ ჯერ ადრეა და მოსამსახურეებიც არ უნდა იყვნენ მოსული.

მის გვერდით ჩამოვჯექი, ვინაობა გამოვკითხე და მოჰყვა:

„ქუთაისიდან გახლავარ, ბიქტორ ბერიკაშვილი; ომში ფეხი დავკარგე, ცოლი და სამი შვილი მყავს სარჩენი, ორიოდე ქცევა მიწა მქონდა და ადგილობრივმა მიწის კომიტეტმა სხვას გადასცა, შენ ფეხი არა გაქვს და მაინც ვერ იმუშავებო. მეც თხოვნა დავწერე და აქ მოვედი მიხა... ცხაკაიასთან... და ამ სიტყვების წარმოთქმაზე ცრემლები წასკდა, ტირილი დაიწყო. მე მეტის-მეტად შევწუხდი და ვკითხე: მერე ვერ ნახე?.. არ მოგისმინა, ან უარით გამოგისტუმრა?..

— „არა... არა... კი.. კი მომისმინა... ოხ.. რა იყო ის... და ქვითინს მოუმატა...

— ამხანაგო, ოღონდ დამშვიდდით, ნუ ტირით და არ მინდა თქვენი ლაპარაკი, ბოდიშს ვიხდი რო ჩემმა შეკითხვებმა რაღაც მწარე მოგონება აგიძრათ—დაბნეულათ ველაპარაკებოდი მე, როდესაც ცრემლებისაგან დაგუბული თვალები მომაპყრო.

— არა... მე მინდა გითხრათ... მაგრამ თავი ველარ შეიკავა და ცრემლები კიდევ წასკდა... მე მინდა გითხრათ... ქუთაისიდან ცოტა უიმედოთ მოვდიოდი. აქ კი... როგორ მიმიღო, რა ადამიანი ყოფილა. დამაჯინა მასთან, მომეფერა, ყველაფერი დაწვრილებით გამომკითხა, ყველაფერი ამიხსნა, დამაიმედა და ბოლოს მითხრა:

— „აი ეხლა ამდენ ფულს გამოგიწერ, წართმეული მიწის შესახებ მიწათ-მოქმედების კომისარიატში მიგიწერ, მომავალში კიდევ დაგეხმარებით, საბჭოთა მთავრობა დასახიჩრებულს და დავრდომილებს ქუჩაში ხელგაწვდენილს არ გაუშვებსო". მისი თითო სიტყვა ჩემს გულს ისე ხვდებოდა, როგორც დამწვარს მალამო. აქ კი ხმა დაუშვა თითქოს ეშინიან ვინმემ არ გამიგონოსო და ისე მითხრა: არ შევხვედრივარ მე ასეთ კეთილ ადამიანს... მისმა სიტყვებმა ყოველ გვარი გაჭირვება დამავიწყებია".

— „შე დალოცვილო, უთხარი მე, შენ ისე ტიროდი თითქოს მეორე ფეხიც მოეჭრას ვინმეს. და თუ კი დაგეხმარა, დაგაიმედა კარგად მიგიღო და გაგამხნევა რაღაზე ტიროდი? და მისგან პასუხსაც აღარ დაუცადე, დავემშვიდობე და ჩქარა წამოვედი. გზაში კი ჩემი კითხვის პასუხს მევე ვეძებდი. კიდეც ვნახე ეს პასუხი. ეს იყო. მიხასადმი გულწრფელი მადლობის გამომხატველი ცრემლები, ეს იყო მისი ტკბილი, ამხანაგური თანაგრძნობით აღვსილი სიტყვების მოქმედება უკუღმართო ცხოვრებისაგან დასჯილ ადამიანზე.

ალბათ ბევრია ბერიკაშვილები, რომლებიც ასეთივე მადლობის ცრემლებით ინამებიან მიხას მოგონებაზე და საიდუმლოებრივი სასოების ცრემლმორეულნი წარმოსთქვამენ ძვირფას სახელს: მიხა ცხაკაია".

გამახსენდა თქმულება: ბაგე სდუმს როცა გული ლაპარაკობსო.

ვაშა იმ მთავრობას, რომელსაც ცხაკაიები ჰყავს სათავეში. [illegible]

მუშათა თეატრი ჩათახის ქარხანაში

1923 წ. 23 ივნისს მოხდა საზეიმო გახსნა ჩათახის ქარხნის თეატრისა. ამ დღისათვის საგანგებოთ მოწვეული იყო სახალხო სახლის ქართული დრამატიული დასის კოლექტივი—პიესის დასადგმელათ; მოწვეულნი იყვნენ აგრეთვე სხვადასხვა ორგანიზაციების, პარტიულ და საბჭოთა დაწესებულებების წარმომადგენელნიც. მშვენიერი დარი იდგა, ბუნება, გრილი დღე, ხელს უწყობდა მუშათა ზეიმს. თეატრი აშენებულია დაბლობში და განაწილებულია 200 მაყურებელზე. თეატრში მოთავსებულია პატარა სცენა—დეკორაციებით და ლამაზი ფარდით, რომელიც შემოწირულია ტრამვაის მუშებისაგან. მსახიობთათვის არის მოშენებული განსაკუთრებული საპირფარეშოები. საზეიმო გახსნისათვის თეატრი განსაკუთრებით არის მორთული—ყვავილებით, სურათებით და ფერადი ელექტრონის ლამპებით. ყველაფერს სიცოცხლე და სიახლე ეტყობა. 8 საათისათვის თეატრში დაიწყეს დენა ჩათახის მუშა-მოსამსახურეებმა თავიანთი ოჯახობით. ყველას სახეზე სიხარული იყო აღბეჭდილი. ჩათახის მუშებმა თვითონ შექმნეს თავიანთი თეატრი, სადაც ისინი თვითონ გასწევენ კულტ მუშაობას.

ქარხნის გამგე, ამხ. ბ. კალანდაძე თავს დასტრიალებს თეატრს, როგორც თვის საყვარელ საგანს და ხელს უწყობს მის მოწყობაში.

სრულ 9 საათზე, ფარდის წინ გამოჩნდება მუშა—მელქო რობაქიძე, რომელიც მიესალმება დამსწრეთ მუშების სახელით, შემდეგ მიესალმებიან მუშებს ამხ. მალაქია ტოროშელიძე, და მელითონეთა სახელით ი. ელიაშვილი და სხვები.

მილოცვების შემდეგ სახალხო სახლის ქართულ დრამატიულ დასის კოლექტივის მიერ წარმოდგენილი იქნა ა. ცაგარლის პიესა „რაც გინახავს ვეღარ ნახავ". პიესა მწყობრათ და ლამაზათ ჩატარდა.

პიესის დამთავრებისას მომღერალმა შანშიაშვილმა შეასრულა რამდენიმე რომანსი. წაკითხულ იყო რამდენიმე სახუმარო სცენები და მოთხრობები ამხ. ელიაშვილის მიერ. საღამო დასრულდა ცეკვით, რის შემდეგ გაიმართა ვახშამი.

აღსანიშნავია ის მოვლენა, რომ ჩათახის თეატრის აშენებაში და მოწესრიგებაში დიდი მონაწილე და ინიციატორი იყო ქარხნის თანამშრომელი ალ. შანშიაშვილი, რომელსაც მუშა-მოსამსახურეებმა მიართვეს სახსოვრათ საჩუქარი.

დამსწრე.

პროვინციაში

გორის თემი.

ქართლში (გორის მაზრაში) ერთი საუკეთესო სოფელთაგანი არის სოფ. ხიდისთავი; იგი მდებარეობს მტკვრის მარჯვენა ნაპირას, გორიდან ორი ვერსის მანძილზე, უკავია ატენის ხეობაში მეტად ტურფა და კეკლუცი ადგილი.

ერთის მხრივ მის გარშემო ამართულია ხშირი ტყეებით დაბურული მთები და გორაკები. ხოლო მეორეს მხრივ ჩამოუდის მდინარე მტკვარი. თუმცა ამ სოფელს სახნავ სათესი მიწები აქვს ნაკლებათ, მაგრამ სამაგიეროდ იგი მდიდარია ვენახებით. არ მოიპოვება თითქმის არც ერთი გლეხის ოჯახი, რომელსაც არ ქონდეს ვაზით და სხვა და სხვა ხილით შემკული ვენახი, ხიდისთავის ნამყენი ატამი ხომ განთქმულია. ამ სოფლის ერთს ნაწილს ეძახიან „ოხერიას". როგორც მთავარი ნაწილი ხიდისთავისა, ისე ოხერია დაჯილდოებულია ბუნების სიმდიდრით. მაგრამ ამ დიდებულ სოფელს აქვს ერთი დიდი ნაკლი.

თითქმის შუა სოფელში ჩამოუდით მდინარე „ტანა". თუმცა ეს მდინარე ზაფხულობით და ზამთრობით ისე შესამჩნევათ პატარავდება, რომ ბავშვებიც კი უხიდოთ გადიან, მაგრამ სამაგიეროთ გაზაფხულზე და შემოდგომაზე ისეთი ადიდება იცის, რომ თავზარს სცემს არა თუ ამ სოფელს, არამედ მთელი ხეობის მცხოვრებლებსაც. უვარდება გლეხ-კაცობას სახლებში, სტაცებს ავეჯს, სხვადასხვა ნივთებს, გადადის მინდვრებში, ვენახებში და საშინელ ზარალს აძლევს.

მეოთხე წელიწადია რაც ეს სოფელი მოუსავლობის გამო განიცდის სიმშილს. წელს კი გლეხკაცობა გამოუთქმელ სიხარულს გრძნობდა, რადგან, როგორც მინდვრის, ისე ვენახის მოსავალს მეტად კარგი პირი უჩნდა.

სამწუხაროდ ამ ორი კვირის წინად მოვიდა ისეთი საშინელი სეტყვა (მტრედის კვერცხის ოდენა) და ავდარი, რომ სულ მთლად ჩარეცხა მთელი ოხერა. ნაპირებიდან გადმოსული აზვირთებული ტანა შეუვარდა მცხოვრებლებს და ვინ იცის რა ზარალი არ მიაყენა მათ. აუწერელია ის მწუხარება და სულიერი მდგომარეობა, რასაც ამ ჟამად განიცდის აქაური გლეხ-კაცობა, თუმცა ოთხი წელიწადია, რაც ამ სოფელს ზედი-ზედ მოსულ უბედურებიდან თავისუფლად ამოსუნთქვა ჯერ ვერ მოუხერხებია. უკუღმართი ბედი მას მოსვენებას არ აძლევს, მაგრამ სამაგიეროთ მუშათა და გლეხთა მთავრობა მას მფარველობას არ აკლებს და ყოველნაირ სახსარს აძლევს ფეხზე დასაყენებლად.

ამ უკანასკნელ ხანებში მეტად უხშირა აქ სიარული გორის ინსტრუქტორმა ამხ. ეპიფანე სიამაშვილმა. იგი თითქმის ყოველ კვირა იწვევს მცხოვრებთა კრებას, რომელსაც ყოველთვის აუარებელი ხალხი ესწრება. არჩევს სხვადასხვა სოფლის საჭირბოროტო საკითხებს; დილით შუადღემდე და ზოგჯერ საღამომდისაც რჩება იგი ამ სოფელში და აწესრიგებს სოფლის ყოფა-ცხოვრებას. წარსულ კვირას 17 თიბათვეს მეტად მრავალრიცხოვან კრებაზე წამოყენებულ იყო ფრიად საყურადღებო საკითხი: უსწავლელობის ლიკვიდაცია. ამ საკითხის შესახებ წარმოთქვეს სიტყვები ინსტრუქტორმა ამხ. ეპიფანე სიამაშვილმა, თემის თავმჯდომარე ამხ. ქურდაძემ და ცნობილ პედაგოგმა ფილა ლაფერაშვილმა. საუკეთესოდ დაუსურათეს გლეხ-კაცობას წერა-კითხვის მნიშვნელობა. კრებამ ერთხმად დაადგინა: მოეღოს ბოლო უსწავლელობას მთელ სოფელში ხიდისთავს და ოხერაშიც. დაწესდეს, რომ წერა-კითხვის მსურველნი ყოველ კვირა-უქმე და ავდრიან დღეებში დანიშნულ საათებში გამოცხადდენ ხოლმე სოფლის სკოლის შენობაში წერა-კითხვის შესასწავლად. ერთხმად ამ საქმის ხელმძღვანელად აირჩიეს ფილა ლაფერაშვილი და მისი მეუღლე ვერა ლაფერაშვილისა, რომლებმაც სიამოვნებით მიიღეს ხალხის ეს სამსახური და მისცეს პირობა მთლიან ძალ-ღონით შეუდგნენ ამ წმინდა საქმის კეთებას.

იმ დღესვე სიაში ჩაეწერა 70 კაცამდე.

კრებამ დიდი მადლობა გამოუცხადა თემის აღმასკომის თავმჯდომარეს ამხ. ქურდაძეს და ინსტრუქტორ ამხ. სიამაშვილს, რომელნიც ცხურვალე მონაწილეობას იღებენ მუშების ყოფა ცხოვრების გაუმჯობესების საქმეში და ხალხის ზემოხსენებულ ამხანაგებს, რათა მათ გადასცენ მადლობა მთავრობას, რომელიც მედგრად იცავს მუშათა და გლეხთა ინტერესებს.

ეს ამბავი არ დარჩა შეუმჩნევლად მეზობელ სოფლებშიც. როდესაც ამ დღეებში ამ საგანზე ბაასი გაიმართა თემის აღმასკომში, ჩაერიენ სოფ. ხელთუბნის მცხოვრებლები და სთხოვეს, რომ იმათშიც მოეწყოთ უსწავლელობის სალიკვიდაციო სკოლა. აღმასკომი შეპირდა მათ და, მგონია, რომ ამ დღეებში ხელთუბნის და სხვა ქართლის სოფლებშიც მალე მოეწყობა ეს დიდებული საქმე.

ეპ. სიამაშვილი.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დებულება

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებულ ფიზიკური კულტურის საბჭოსი.

1. ფიზიკურ კულტურის საბჭო არის მთავარი ხელმძღვანელი სახელმწიფო ორგანო, რომელიც ფიზიკური განვითარების საქმეში აერთიანებს და ათანხმებს საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ყველა უწყებისა და ორგანიზაციის მოქმედებას.

2. საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკაში ფიზიკური კულტურის ყველა ადგილობრივი ორგანიზაცია,—მეცნიერებისა, მეთოდებისა და ორგანიზაციის მხრით,—ექვემდებარება სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებულ ფიზიკური კულტურის საბჭოს. საბჭო დაამტკიცებს ფიზიკური კულტურის ყველა ორგანიზაციას, რაც კი ადგილობრივად იქნება დაწესებული და მასვე უფლება აქვს დახუროს ეს ორგანიზაცია, უკეთუ მისი მოქმედება არ შეეფერება პროლეტარიატის ფიზიკური კულტურის მიზანსა და საგანს.

3. ფიზიკური კულტურის საბჭოს აქვს თავისი ბეჭედი, რომელზედაც გამოხატულია საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ღერბი. საქმის წარმოებისათვის საბჭოს საკუთარი ტექნიკური აპარატი არა ჰყავს და გამოიყენებს სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის აპარატს.

4. ფიზიკური კულტურის საბჭოს უფლება აქვს გამოსცეს თავისი ხელმძღვანელი ორგანო [illegible] საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკაში".

5. ფიზიკური კულტურის საბჭოს უფლება აქვს,—პროფესიონალური განათლების მთავარი სამმართველოს წარმომადგენელთან შეთანხმებით და მისივე დამტკიცებით,—დააარსოს ფიზიკური კულტურის მოსამზადებელი და უმაღლესი სასწავლებლები.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: სათანადო სასწავლებლების ორგანიზაცია მოხდება ამიერ-კავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებულ ფიზიკური კულტურის უმაღლეს საბჭოს წინასწარი თანხმობითა და დამტკიცებით.

6. ფიზიკური კულტურის საბჭოს ექვემდებარება: ა) ფიზიკური კულტურის მეთოდების მეცნიერული შემუშავება, ფიზიკური განვითარების მეცნიერული კონტროლი და ამა თუ იმ ორგანიზაციაში საქმის დაყენება (შემუშავება ყოველგვარი პროგრამისა, სასწავლო გეგმის პროექტებისა, ნახაზების და სხვ.); ბ) საორგანიზაციო მუშაობა: სასპორტო ორგანიზაციათა დებულებებისა და წესდების დამტკიცება, ოლიმპიადების ორგანიზაცია, სტადიონების მოწყობა, ფიზიკური განვითარების ინსტრუქტორთა მოსამზადებლად სკოლების დაარსება.

7. საბჭო შეიმუშავებს სახელმძღვანელო ღონისძიებათ, რაც მიმართული უნდა იქნეს ფიზიკური კულტურის ადგილობრივად დანერგვისა, ფიზიკური კულტურის პროლეტარული უჯრედების ორგანიზაციისა და აგრეთვე ფულის და ნივთიერი სახსრის გამოძებნისათვის.

8 ყველა პროექტი და ღონისძიება, რაც წარმოიშობა ფიზიკური კულტურის ადგილობრივ ორგანიზაციაში, დამტკიცებულ უნდა იქნეს ფიზიკური კულტურის საბჭოს მიერ.

9. ფიზიკური კულტურის საბჭოში გადამწყვეტი ხმის უფლებით შედიან წარმომადგენელნი კომუნისტური ახალგაზრდობის კავშირის ცენტრალური კომიტეტისა, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა, საქართველოს პროფესიონალური კავშირის საბჭოს (მდივანი), განათლების სახალხო კომისარიატისა (სახალხო კომისარი), ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატისა (სახალხო კომისარი), სამხედრო უწყებისა (ქართული დივიზიის პოლიტიკური განყოფილება), „სპარტაკისა" და სათათბირო ხმით—მეცნიერი სპეციალისტები და სპორტსმენები.

10. ფიზიკური კულტურის საბჭოს სათავეში სდგას პრეზიდიუმი, რომელსაც პლენუმი აირჩევს ხუთი კაცისაგან—თავმჯდომარისა და 4 წევრისაგან; მათ დაამტკიცებს სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი.

11. ფიზიკური კულტურის საბჭოს სახსარი შესდგება სახელმწიფოს სუბსიდიისა, ფიზიკური განვითარების საქმეში დაინტერესებულ ცალკე უწყებათა მიერ აღრიცხვით გადადებული თანხებისა და ადგილებიდან მიღებული ანარიცხიდან.

12. სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტებთან (ტფილისში-ტფილისის აღმასრულებელ კომიტეტთან, ბათომსა და ფოთში—ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტთან) უნდა მოეწყოს ფიზიკური კულტურის ადგილობრივი საბჭოები, სადაც შევლენ ამა დებულების 9 მუხლში აღნიშნულ დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ადგილობრივ არსებული განყოფილების წარმომადგენელნი.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: ფიზიკური კულტურის ადგილობრივი საბჭო მოქმედებს ამა დებულებისა და იმ ინსტრუქციების ძალით, რასაც მიიღებს სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებულ ფიზიკური კულტურის საბჭოსაგან.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე მ. ცხაკაია.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი პ. საბაშვილი.

1923 წ. ივნისის 23.

დადგენილება

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

1923 წლის ივნისის 27.

ამიერ-კავკასიის წყალთა მეურნეობის სამმართველოს სასარგებლოდ მიწების მორწყვისათვის არსებული ნატურალური გადასახადის გაუქმების შესახებ.

ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის დეკრეტის განსავითარებლად ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. გაუქმებულ იქნეს ამიერ-კავკასიის წყალთა მეურნეობის სამმართველოს სასარგებლოდ მიწების მორწყვისათვის არსებული ნატურალური გადასახადი მცხოვრებთაგან.

2. შესწყდეს ამ გადასახადის ნარჩენის გადახდევინება.

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე:
მ. ცხაკაია.

ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე: მ. ორახელაშვილი.

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი: თალიბლი.

დადგენილება № 42.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკაში ფიზიკური განვითარების საქმის მოწყობის შესახებ.

მუშათა და გლეხთა მოზარდი თაობის ფიზიკური განვითარების საქმის წესიერად დაყენებისათვის და ამ დარგში, როგორც სახელმწიფოებრივი, ისე საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა, ფაბრიკებისა, ქარხნებისა, პროფესიონალური კავშირებისა, წითელი არმიის ერთეულებისა და კომუნისტური ახალგაზრდობის კავშირის ძალთა გაერთიანებისათვის, სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. დაარსებულ იქნეს სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელ კომიტეტთან ფიზიკური კულტურის საბჭო, რომელიც იმოქმედებს ამასთანავე დართული დებულების თანახმათ.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: ფიზიკური კულტურის საბჭო პასუხისმგებელია სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის წინაშე.

2. ფიზიკური კულტურის საბჭო შესდგება კომუნისტური ახალგაზრდობის კავშირის ცენტრალური კომიტეტისა, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა, საქართველოს. პროფესიონალური კავშირის საბჭოსი (მდივანი), განათლების სახალხო კომისარიატისა (სახალხო კომისარი), ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატისა (სახალხო კომისარი) სამხედრო უწყებისა (ქართული დივიზიის პოლიტიკური განყოფილება), „სპარტაკის" წარმომადგენელთაგან—გადამწყვეტი ხმის უფლებით, და მეცნიერი—სპეციალისტებისა და სპორტსმენებისაგან—სათათბირო ხმის უფლებით.

3. ფიზიკური განვითარების მთელი საქმე საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკაში სამხედრო საქმის სავალდებულო სწავლების ორგანიზაციიდან გადაეცეს სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებულ ფიზიკურ კულტურის საბჭოს; მასვე გადაეცეს სასპორტო კლუბები, მოედნები და მთელი სასპორტო ქონება, რაც კი რამ საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკაში სამხედრო სავალდებულო სწავლების ორგანიზაციას ეკუთვნის.

4. სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებულ ფიზიკური კულტურის საბჭოს სახსარს შეადგენს: 1) ამიერ კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სუბსიდიები, 2) ის თანხები, რასაც გადასდებენ ამა დებულების მეორე მუხლში აღნიშნული სახელმწიფო დაწესებულებანი და ორგანიზაციები აღრიცხვის წესით და 3) ადგილებიდან მიღებული ანარიცხი კუთვნილებისამებრ.

5. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე მ. ცხაკაია

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი პ. საბაშვილი.

1923 წ. ივნისის 23
ტფილისი—სასახლე.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული.

ამხანაგების გამოწვევა.

საქართველოს კომპარტიის ტფილისის კომიტეტი წინადადებას აძლევს ქვემოდ ჩამოთვლილ ამხანაგებს სამი დღის განმავლობაში გამოცხადდენ საქართველოს კომპარტიის ტფილისის კომიტეტის აღრიცხვა-სტატისტიკურ ქვე-განყოფილებაში:

პირველ რაიონში: 1) ბაშენკო აქვ'ილენტი, 2) ბაჩანაევი ალექსანდრე, 3) ივანენკო პეტრე, 4) ენუქიძე, 5) რაზოტა ივანე, 6) ნამურაძე ზურაბი, 7) ფირცხალაიშვილი ნინო, 8) დიმიტრაიშვილი გიორგი.

მეორე რაიონში: 1) ლიახოვი გიორგი, 2) არსენტიევი, 3) ბარონოვი დიმიტრი, 4) თუმანოვი ნიკოლოზ, 5) ივანოვ-კავკასკი, 6) ვარდანიანი ფლორა, 7) მენაბდე აკაკი, 8) მანუკიანი სარკისი, 9) ყიფიანი აპოლონი, 10) ესაიაშვილი ილია, 11) ყურულაშვილი გიორგი, 12) კაზუმოვი ალექსანდრე, 13) მარგიშვილი გიორგი, 14) გინზბურგი აბრამი, 15) ჩაპლინი ნიკოლოზი.

მე-3-ე რაიონში: 1) კურკჩიევი ლეონტი, 2) ტერტერაშვილი არშაკი, 3) გარიბოვი შმაკონი, 4) ტალიბლი ბოიუკ-ალა.

მე-4-ე რაიონში: 1) ალექსანდრია ვიქტორი, 2) ატოევი ნიკოლოზ, 3) ადამიძე თამარა, 4) ასლიბეკოვი მიხეილი, 5) ბატულაევი ილია, 6) ბუზიანიშვილი პარმენი, 7) ვარტანიანი ამო, 8) გეგეჭკორი ნადეჟდა, 9) გეგეშიძე ვალიკო, 10) გაევსკი-როზიტოვი გიორგი, 11) გოცირიძე სერგო, 12) ჯიბრაჯიძე გიორგი, 13) ძიძიგური ილარიონი, 14) დოლიძე ნიკოლოზი, 15) ჯაფარიძე სერგო, 16) ერზიკიანი რუბენი, 17) იპოლიტოვი ალექსანდრე, 18) კოკინევი ნიკოლოზი, 19) კარპი მათე, 20) კაცი მაქსიმე, 21) კვერნაძე არჩილი, 22) კოგანოვსკი დავითი, 23 კაფაფავა ევგენია, 24) კალანდაძე მელიხარ, 25) კანდელაკი ვასილ, 26) კოლესნიკოვი გრიგოლ, 27) კვრივიშვილი ლევი, 28) ლინდელი ვასილ, 29) ლიპატოვი ვლადიმირი, 30) გვრელიშვილი სერგო, 31) მგელაძე ნინა, 32 მახარაძე დავითი, 33) მშობელი მარკოზი, 34) პეციუხა ანდრო, 35) პუტრაინი კარლი, 36) რადზევიჩი ივანე, 37) სემუშკინი თედორე, 38) სტურუა ივანე, 39) სანაია რაჟდენი, 40) ხარაბაძე გალაქტიონი.

ტფილისის კომიტეტის მდივანი: რუბენი.

აღრიცხვა-სტატისტიკური განყოფილების გამგე: ვულფოვიჩი.

განცხადებები

ღრმა მწუხარებაში მყოფნი: გაუბედურებული დედა ვარინკა დავითის ასული გამყრელიძისა, დები ნადია ნესტორის ასული ავალიშვილისა, ნინო ნესტორის ასული გამყრელიძე, ძმა ნიკოლოზ ნესტორის ძე გამყრელიძე, რძალი ნინო სვიმონის ასული გამყრელიძისა და სიძე იაკობ პეტრეს ძე ავალიშვილი ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და მეგობართ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ, კიევის სამედიცინო ფაკულტეტის სტუდენტის

შალვა ნესტორის ძის გამყრელიძის

უდროოთ გარდაცვალებას. გამოსვენება წაღვერიდგან ორშაბათს, 26 თიბათვეს დასაფლავება ხუთშაბათს, 28 თიბათვეს სოფელ ზოდის წმ. გიორგის ეკკლესიის გალავანში.

(კვ. 888—1—1)

თანახმად განათლების მუშაკთა კავშირის ც. გ. პლენუმის დადგენილებისა, ამა წლის 1-ლ ივნისიდან

დანიშნულია კავშირის ერთეულ წევრთა გაწმენდა

ამ მიზნისათვის ც. გ.-თან შექმნილია კომისია, რომელიც შეუდგება მუშაობას ამა წლის 1 ივლისიდან.

ყველა ერთეულ წევრები, როგორც კერძო გაკვეთილების მქონე, აგრეთვე წერა-კითხვის ლიკვიდატორები **ვალდებულნი** არიან ამა წლის 2 ივლისს, საღამოს 6 საათზე გამოცხადდენ განათლების მუშაკთა კავშირში (მუშათა სასახლე, ოთახი № 35) საწევრო წიგნაკებით და აგრეთვე მისცენ ყოველგვარი საჭირო ცნობები რაიკავშირკომების წარმომადგენელთ.

ვინც არა საპატიო მიზეზების გამო არ გამოცხადდება დანიშნულ დროს, გამორიცხულ იქნება კავშირიდან.

(3—3) კომისიის თავმჯდომარე **მეძმარიაშვილი.**

ამიერ-კავკასიის რკინის გზათა

სამმართველო

აცნობებს

ყველა სახელმწიფო დაწესებულებებს, კოოპერატიულ ორგანიზაციებს, კერძო პირებს და ცალ-ცალკე ბაღების მეპატრონეთ, რომელნიც დაინტერესებული არიან ხილისა და ბოსტნეულის გახმობაში, რომ მიმდინარე სეზონში ამიერ-კავკასიის ფარგლებში განზრახულია მოეწყოს

ხილისა და ბოსტნეულის გამხმობი

მატარებლის, ექსპლოტაცია რომელსაც ყოველგვარი საქარხნო მოწყობილება ექნება ნედლი მასალის მექანიკურად გადამუშავებისათვის (ალუბალი, ქერამი, უნაბი, ატამი, ვაშლი, კარტოფილი, სტაფილო და სხვა ხილი და ბოსტნეული) გამხმარ პროდუქტებში.

1) ნედლი მასალა შეიძლება ჩაბარებულ იქნეს გადამუშავების ღირებულების გადახდით, მაგრამ არა უმეტეს ერთი მანეთისა თვითეულ ფუთ გამხმარ პროდუქტზე; იმ ხილისა და ბოსტნეულისათვის, რომელთა გასავალის პროცენტი დიდია, გადამუშავების ფასი შეიძლება თანაბრად შემცირებულ იქნეს.

2) გადამუშავების ფასი შეიძლება გადახდილ იქნეს თანაბარი ღირებულების ნედლი მასალით ან ნაწილობრივ ფულით და ნედლი მასალით.

3) შემკვეთელებს მთელი რიგი შეღავათებისა ეძლევათ ტრანსპორტიროვკისა, შენახვისა, რეალიზაციისა და ფრახტის გადახდაში, აგრეთვე ეძლევათ სესხი გადამუშავებულ პროდუქტის გირაოს ქვეშ.

4) ტარის შეძენის სიაფესათვის, რომელიც დამზადებულ პროდუქტის ჩასაწყობად არის საჭირო, ხილისა და ბოსტნეულის გამხმობი მატარებელი ყუთების დასამზადებლად ღებულობს შეკვეთებს კლიენტებისათვის ხელსაყრელ პირობებში. მატარებელი იღებს შეკვეთებს აგრეთვე მორისა და ფიცრების დასახერხავად, ხმელ ხელსაწყოების რემონტისათვის და ხორბლეულ პროდუქტების დასაფქველად; ყველა ეს სამუშაოები შესრულებული იქნება მატარებლის დამხმარე მოწყობილობის საშუალებით; ყველა იმათ, ვისაც სურს მატარებლით სარგებლობა, წინადადება ეძლევათ თავის დროზე შეიტანონ განცხადება, რადგან შეკვეთების შესრულება ხდება რიგის წესით და იმ რაიონების შეთანხმებით, სადაც მატარებელმა უნდა იმუშაოს.

ცნობებისათვის უნდა მიმართონ ამიერ-კავკასიის რკინის გზათა სამმართველოს ეკონომიურ სამსახურს (სადგურის ქ. № 1, მე-2 სართული, ოთახი № 57).

(კრ. 873—5—2)

ქ. თბ მე-4 უბნის სახალხო მოსამართლე

(მუხრანის ქ. № 4).

იწვევს ამის გამოქვეყნების დღიდან ორი თვის განმავლობაში უგზოუკვლოთ წასულ იოსები ილიკოს ძე ხატისაშვილს, როგორც მოპასუხეს მისი ცოლის ოვსანა ზაქარიას ასული ხატისაშვილისა საჩივარის გამო განქორწინების შესახებ.

კრ.—892—1—1 სახ. მოსამართლე—ხუნდაძე.

დაიკარგა პირადობის მოწმობა, მოცემული ქრისტეფორე ქიქინაძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.
კრ. 893—1—1

დაიკარგა მეეზოვეთა კავშირის წიგნაკი № 289 და პასპორტი აიკა მელოიანცის სახელობისა. ჩაითვალოს გაუქმებულად.
890—1—1

დაიკარგა პირადობის მოწმობა მოცემული სახელმწიფო უნივერსიტეტიდან სტუდ. პარმენი ზოს. კუკავას სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.
(კვ. 887—1—1)

დაიკარგა საქ. კომკავშირის ხონის ორგანიზაციის დროებით მოწმობა გაცემული 7 ივნისს ამა წლის თამარა სამსონის ასული ბახტაძის სახელზე. გთხოვთ ჩაითვალოს გაუქმებულათ.
(კვ. 889—1—1)

დაიკარგა ტფილისის აღმასკომის სამმართველოს განყოფილების მიერ ამა წლის 7 ივნისს მიღებული 3 საათამდე ვაჭრობის ნებართვა მოქ. ჩიგოგაძე და ბიდიხოძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ.
(კვ. 891—1—1)

იბ. „ზარია ვოსტოკას" სტამბა, კრუზენშტერნის ქუჩა № 4.